

მამა ავთანდილ ბიორგოზიანი

ფ უ ს ტ ე ბ ი

**ქართული სამხედრო-სამკლესიო
რანდთა ორდენი**

(დაკარგული ტრადიციების ძიებაში)

თბილისი

2010 წ.

წიგნი ეძღვნება ზემო საზანოხა და ფუტიეთის საეკლესიო აჯანყების ბოლო და ტრაგიული ბრძოლების 190-ე წლისთავს

ფუტიეთი ფუსტის რაინდთა უძველესი მთავარი ფორპოსტი იყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთში. ფუტიელების მეომარ ტომს ხშირად ახსენებს ბიბლიის ძველი აღთქმა. ფუტი – ბიბლიური ნოეს შვილიშვილი იყო თუმალოთნ და მოსხთან ერთად. პროტოქართველთა სახელი, ფუტიელი, ძველი აღთქმის გარდა გვხვდება ძველ ეგვიპტურ, ხეთურ და ბოლოს ძველ ბერძნულ წყაროებში, ეს უკანასკნელი მათ მოიხსენიებს ფუ(ს)ტელების სახელით. ისინი ქრისტიანები არიან წმ. ანდრია პირველწოდებულის დროიდან. კოლხეთში არგონავტების შემოსვლის ეპოქაში, როცა გაბატონებული იყო მზის თაყვანისცემა, ამ რელიგიის კანონიკით, ფუტიეთი, სიხამთის „ნაეკლესიავით“, კოლხთა ქვეყნის უმთავრეს საკულტო ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო უმაღლესი ქალღვთაების ფუტის (ფასიანეს) ტაძარი, სადაც მთავარი ქურუმი იყო თვით მზის შვილის – მეფე აიეტის, გრძნული ქალიშვილი მედეა, ვისი დახმრებითაც ბერძნებმა მოიტაცეს პელითონეობის ცოდნის წიგნი ეფუტი ანუ „ოქროს საწმისი“.

ფუ(ს)ტელთა თეოგეოგრაფიული მხარე რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი ქრისტიანობის გავრცელების შემდგომაც ინარჩუნებს ძველ ფუნქციას და გარეშე მტრების შემოსევების დროს საეკლესიო-სამონასტრო ქონების დაცვა-გადარჩენაზე ზრუნავს დასავლეთ საქართველოს მთაში გახიზნით.

1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების დროს ფუ(ს)ტის რაინდთა გმირული თავგანწირვით სვანეთში გაიხიზნა 280 ჯორკიდებული საეკლესიო განძი.

1820 წლის 30 მაისს სოფ. ზემო საზანოში (ისტ. სკანდე) განძის გადატანას შეეწირა 700 ფუსტი რაინდი. ხოლო 1820 წლის 3 ივნისს სოფ. ფუტიეთში – 2000 ფუსტი რაინდი.

ფუსტის რაინდთა ნაკვალევი „თამარ მეფის გზის“ სახელითაც იწოდება ხალხში. იგი იწყება ზემო იმერეთში, სოფ. ზემო საზანოში, გაივლის საჩხერეს და მთავრდება სვანეთში, მესტია-ეცერში.

გაეცანით და იმოგზაურეთ სამხედრო - საეკლესიო რაინდთა, ფუსტელთა, არქაულ და დავიწყებულ სამყაროში.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

XIX საუკუნის დასაწყისში რუსულმა იმპერიამ გადმოლახა კავკასიონის მთავარი ქედი და მისმა საზღვრებმა ამიერკავკასიაში გადმონაცვლა. რუსეთის შემოსვლას და გაბატონებას საქართველოში სხვადასხვაგვარად აფასებენ დღემდე. რა თქმა უნდა, რუსეთთან საქართველოს დაახლოებაში იყო დადებითი მომენტებიც, რომელთა უგულვებლყოფა არ შეიძლება, მაგრამ ამას აქვს სხვა უარყოფითი მხარეებიც, რომელთა სწორი გააზრება და წარმოჩენა აუცილებელია ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს სრულფასოვანი აღდგენისა და განვითარებისათვის. მით უმეტეს, რომ რუსეთისკენ ჩვენი ლტოლვის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიჩნეულია „ერთმორწმუნეობა“. რუსეთის იმპერიის დამპყრობლური და ქართული სახელმწიფოებრიობის თვითგადარჩენის ინტერესების კონფლიქტმა დასაწყისშივე იჩინა თავი. ეს კონფლიქტი აისახა იმ მრავალრიცხოვან აჯანყებებსა თუ შეთქმულებებში, რომლებიც თითქმის ორასი წლის განმავლობაში პერიოდულად იჩენდა თავს საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ მოვლენების დაწვრილებით განხილვა, ჩვენ შევეჩებით მხოლოდ იმას, რაც ეხება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობას რუსეთის იმპერიის მიერ.

სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობისთანავე იჩინა თავი იმან, რასაც მანამდე ვერც ერთი დამპყრობელი ვერ ახერხებდა. იმპერიამ დაუნდობლად დაიწყო ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მანამდე ხელშეუხებელი ბურჯის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურება. რუსეთმა გააუქმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, დაიწყო ეპარქიათა გამსხვილება, სასულიერო პირთა დიდი ნაწილი დაითხოვა, ეკლესიამონასტრების უმრავლესობა დახურა, ამასთან ხელი მიჰყო საეკლესიო ქონების ურცხვად ძარცვას, ისეთ ძარცვას, რომლის მსგავსს თვით მაჰმადიანი დამპყრობლებიც არ კადრულობდნენ. ყველაზე დამღუპველი კი ის იყო, რომ ძირფესვიანად ამოიღო ეროვნულ, მართლმადიდებლურ

ცნობიერებაზე აგებული მრავალსაუკუნოვანი საღვთისმეტყველო, თეოსოფიური საეკლესიო სწავლება. რითაც იმპერიამ საბოლოოდ განგმირა ქართული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებელი სულიერი სხეული, რომელიც რუსეთის მოღერნიზებულმა საბჭოთა იმპერიამ მემკვიდრეობით მიიღო, მაგრამ ისევ სარკოფაგში დატოვა. საბჭოთა უშიშროების ორგანოები ფლობდნენ ეკლესიაზე ზემოქმედების ყველა სადავეს. საბჭოთა იმპერიამ მემკვიდრეობით მიღებული ქართველი ერის სულიერი გენოციდის დამლუპველი მოვლენა არამც თუ შეარბილა, კიდევ უფრო გაამკაცრა. ეკლესიის დაკომპლექტება ზნეობრივად, მორალურად და სულიერად დაავადებული სასულიერო პირებით უშიშროების სამსახურების უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა. საღვთისმეტყველო თეოსოფიური ბაზის გარეშე დარჩენილი ეკლესია ორასწლოვანმა რეჟიმმა რიტუალების დაწესებულებად ჩამოაყალიბა. არსებობის ასეთი ფორმა სრულიად მიუღებელი და უცხო იყო როგორც ქართული ეროვნული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, ისე ქართველი ხალხისთვისაც. უახლესი ისტორიის პერიოდში ქართული ეკლესია, რომელიც სულიერი გენოციდის ორასწლოვანი დაავადებით იყო შეპყრობილი, ვერ აღმოჩნდა საქართველოში განვითარებული მოვლენების, ერის ინტერესების თანაზიარი. ასეთი მავნე მემკვიდრეობისაგან თავის დაღწევის ეროვნული პროგრამა მოითხოვს შემდეგს:

- 1) უნდა ვცნოთ და ვაღიაროთ 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყება და ფუსტის სამხედრო-საეკლესიო გმირული, მრავალათასწლოვანი ტრადიცია.
- 2) ქართულ ეკლესიაში უნდა აღდგეს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეროვნული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო, თეოსოფიური სწავლება.
- 3) შესწავლილი და გამომზეურებული უნდა იქნეს ხალხური მართლმადიდებლური ტრადიციები, განსაკუთრებით კი სვანური ქრისტიანული ფენომენი.



სურ.1. სვანურმა ყოფამ დღემდე მოიტანა ფუსტის სამხედრო-საეკლესიო ტრადიცია. ამ ფოტოზე, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გადაიღო, წარმოდგენილი არიან კალა-გულას ტაძრის შეიარაღებული მცველები.

ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნული პროგრამის აღსრულების მიზანს წლების განმავლობაში ემსახურება სოფ. ფუტიეთში არსებული საპრეზიდენტო დათვალიერება – ფესტივალის ლაურეატი, ფუსტელთა სკოლა – მუზეუმი.



სურ.2. ფუსტელთა სკოლა-მუზეუმში დაცულია, ფუსტის ათასწლოვანი ტრადიციის ამსახველი მასალები და 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების გმირთა მემორიალი.

მიუხედავად წარმოდგენილად დიდი ღვევისა, შეჭირვებისა და წინააღმდეგობებისა, ფუსტელთა სკოლა – მუხეუმი მთელ თავის შესაძლებლობებს ახმარს ქართველი ერის ცნობიერებაში ორასი წლის წინ ამოძირკვეული ეროვნული მართლმადიდებლური ღირებულებების აღდგენას, რომელთა შორის უპირატესეს მარგალიტად ბრწყინავს ფუსტობა (იაკობ ახუშვილი, ქართული გვარ-სახელები ტ.VII, თბ. 2007წ., გვ.719-720).

2009 წლის 20 ივლისს, საპარლამენტო გამოსვლის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა, ამხილა „ყალბი მართლმადიდებლობა“ – როგორც რუსული იმპერიის გადმონაშთი, ორასწლოვანი ეროვნულ-განმათვისებელი მოძრაობის ისტორიაში. ბატონი პრეზიდენტი პირველია, ვინც ქართველი ერის ორასწლოვანი სულიერი გენოციდის ურჩხულს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა; რითაც მოგვიწოდა და გაგვიძღვა სახელმწიფს სულიერი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, ასეთ ვითარებაში ერის ცნობიერებაში ფუსტობის ტრადიციის აღდგენას უდიდესი და ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ეროვნული მართლმადიდებლური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში და აღდგენაში.




სურ.3. 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყებისა და ფუსტობის ტრადიციის გამომწვეურება აუცილებელია ორასი წლის წინ ამოძირკვეული ეროვნული ეკლესიის აღსადგენად.

ფუსტიები

ვეცადოთ, თვით ამ ტერმინის წარმოშობისა და არსის შესახებ შემოვიტანოთ ნათელი.

ჯერ კიდევ ცნობილმა ნორვეგიელმა ენათმეცნიერმა, ქართველოლოგმა და კავკასიოლოგმა, პროფესორმა ჰანს ფოქტმა (1903–1986) მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე ბერძნული „ფაზისი“ შეუსატყვისა მეგრულ „ფუტს“. შემდგომ ეს აღმოჩენა გაიზიარეს სხვა მეცნიერებმაც, მათ შორის ქართველმა მკვლევარებმაც: ს. ჯანაშიამ (შრომები, ტ. III, გვ. 131–135); გ. მელიქიშვილმა (№1 გვ. 8-9); რ. გორდუზიანმა „არგონავტები“, გამომცემლობა „ლოგოსი“ თბ. 1999წ. გვ. 100) ო. ლორთქიფანიძემ „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1986 წ., გვ. 104), ახალგაზრდა ქართველმა მკვლევარმა გია კვაშილავამ ფესტოსის თითქმის ოთხი ათასი წლის წინანდელი დისკოს B-21-ე ნახატ-ნიშანი გაშიფრა, როგორც ღვთაება „ფუტი“ (ფაზისის აკადემიის შრომები, ჟურნალი „ცოტნეიდელი“ ტ. II გვ. 76-82).



სურ.4. მკვლევარ გია კვაშილავას მიერ წაკითხული ფესტორის დისკოს B-21 უჯრა. აღნიშნული ნახატ-ნიშანი აღნიშნავს ღვთაება ფუტს.

ვინაიდან კოლხებს ფასიანელებსაც უწოდებს ძველი ბერძნული წყაროები, დგინდება, რომ ძველი ბერძნების მიერ აღწერილი ქალღმერთ ფასიანეს (ნანა-კიბალეს) კოლხურ მეტყველებაში უნდა რქმეოდა ფუტი. ამას ისიც ადასტურებს, რომ მეგრულ მეტყველებაში დღემდე ქალაქ ფოთს მეგრელები ფუტს უწოდებენ (ს. ჯანაშია. შრომები ტ. III გვ. 31-135). მით უმეტეს, რომ ამ ფუმიდან აღმოცენებული ტოპონიმები ისტორიულ კოლხეთში, პონტოდან კავკასიის ქედამდე, ყველგან გვხვდება. ჭანურ-ლაზურში: ოფუტე-ეზო; იმერეთში: სოფელი ფუთი, ფუტური ჭალა; ფუტურა; სოფელ უბისაში – ფუტური ტყე; სოფელ კვერეთში – ფუტური კოჟი; სოფელ ცხომარეთში – ფუტური ქედი; გურიაში სოფელ ლესეში – ფუტური ღელე; ლეჩხუმში: სოფელი ოფიტარა (საქ. სსრ ტოპონიმიკა. თბ. 1987წ. ტ. I). სვანეთში თითქმის ყველა სოფელშია ფუ(ს)ტის სალოცავი (თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989წ.); რაჭაში – სოფელი ფუტიეთი (ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925წ.); აჭარაში – სოფელი ფურტიო, შუახევის რაიონში ფურტიო – მთა სხალთის მახლობლად. (საქ. სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1982წ.). დასავლეთ საქართველოს ბარში ფართოდ იხმარებოდა ღვთის წიგნის (ბერძ. ბიბლია) აღმნიშვნელი ტერმინი – ეფუტი (კ. გამსახურდია, „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“, თბ., 1990წ. გვ. 384). კოლხთა ძირძველ სამკვიდროში, აფხაზეთშიც, დააფიქსირა ს. ყაუხჩიშვილმა ფუსტის არსებობა (მისიამანთა ტომი თსუ, შრომები., ტ. I, 1936წ.). ისტორიული კოლხეთის ფარგლებს გარეთ, ქართლშიც, არის დადასტურებული მსგავსი ტოპონიმები. მაგ. სოფელი ფუტრევი, სოფელი ფიტარეთი (მასალები საქ. ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, თბ. 1964 წ.). იერუსალიმში V-VI საუკუნეების ერთ-ერთი საფლავის წარწერაზე იკითხება: „ესე სამარხი იოანე ფურტაველი ეპისკოპოსისა ქართველისა“. კ. გამსახურდიამ ხევსურეთშიც დააფიქსირა ხატის მსახურის აღმნიშვნელი ტერმინი ფულტი (კ. გამსახურდია, „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“, თბ., 1990წ., გვ. 388).

ძველ ბერძნულ წყაროებში (I–VII ს.ს.) მოიხსენიებიან კოლხი მთიელები ფუ(ს)ტელები, რომელნიც წმინდა ანდრია პირველწოდებულს მოუქცევია ქრისტიანობაზე (ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგია“, ტ. VI, თბ., 1941 წ., გვ. 43).



სურ.5. ძველი ბერძნული წყაროები ფუსტების (რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის) მხარეში ქრისტიანობის გამავრცელებლად წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულს ასახელებენ.

ფუ(ს)ტას ციხეში იყო მაქსიმე აღმსარებლის თანამოღვაწე წმინდა ანასტასი აპოკრისიადი (ს. ყაუხჩიშვილი „გეორგია“, ტ. VI, თბ., 1941წ., გვ.43) ეს ფუ(ს)ტას ციხე უნდა იყოს მოგვიანებით, XI საუკუნიდან, ცნობილი კვარაცხე. სადაც მოგვიანებით ბერძნული კირიე, კვირიე (უფალი) ჩაენაცვლა კოლხურ უფლის აღმნიშვნელ სიტყვას ფუ(ს)ტს. მით უმეტეს, რომ ამ ციხის მახლობლად მდებარეობს სოფელ სხვავის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი ფუტიეთი. (გაზ. „რაეო“ №6 (41-42)–1998 წ. გვ. 18-19 და სხვა).

ასე რომ, ბერძნულ წყაროებში ნახსენები ფუ(ს)ტელები განსახლებული უნდა ყოფილიყვნენ დასავლეთ საქართველოს დიდი კავკასიონის მთიანეთში, დღევანდელი კოდორის ხეობიდან ზემო იმერეთამდე, ეს ფუ(ს)ტას მხარე მოიცავდა მთლიანად რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ტერიტორიას. წარმართულ ხანაში მზისა და მთვარის თაყვანისცემა უპირველეს რანგში ჰყავდათ აყვანილი ქართველთა წინაპრებს, ამ მზის და მთვარის წარმართულ ტაძრებს, რა თქმა უნდა, ფუსტელები იცავდნენ, მაგრამ რაღაც პერიოდში, როგორც იგრძნობა, რაჭა-ლეჩხუმი (თაკვერი) მზის ქალღვთაების სატაძრო ოლქად ჩამოყალიბდა, ხოლო სვანეთი მთვარის მამრი ღვთაების სუვენის სატაძრო ოლქად. ის, რომ მზე და მთვარე მდებრი და მამრი ღვთაებები იყო ქართველთა წინაპრებისათვის, კარგად ჩანს კოლხთა ამ უძველეს ლექსში, რომელიც სამეგრელოშია ჩაწერილი:


მზეა დედაჩემი,
მთვარე მამაჩემი,
და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები,
და-ძმებია ჩემი.

წარმართობის ეპოქაში ტაძართა მცველების ფუნქციის მატარებელნი დასავლეთ საქართველოს მთიანეთის მკვიდრნი, იგივე რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ანუ თაკვერ-სუვანეთისა, იგივე ფუ(ს)ტელები, ამ სარწმუნოებრივ სტატუსს შემდგომ ქრისტიანობის ხანაშიც ინარჩუნებენ, თუ როდიდან, ამას შემდგომ შევეხებით. ახლა კვლავ მივუბრუნდეთ ფუ(ს)ტის ტერმინის წარმოშობის საკითხს. ფუთი, ფუტი-ნისლი კვამლს, ღრუბელს, ხეში სიცარიელეს აღნიშნავს გურულ და იმერულ დიალექტებში (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთრაძე „ქართული დიალექტოლოგია“, ტ.I. 1961წ.) ღრუბლის, კვამლის, ნისლის სვეტი, ძველ და ახალ აღთქმაში ჩეულებრივ, უფლის ანუ ფუსტის გამოცხადების სიმბოლოა (მაგ., „გამოსვლა“ 14-19, 20, 34-5). ქრისტიანული მოძღვრებაც (მაგ., წმინდა ანდრია კრიტელი) ფუტს ანუ ნისლს, ღრუბელს ღვთისმშობლის სიმბოლოდ მიიჩნევს. აგრეთვე ხის ფუტუროს მკვიდრი ფუტკარიც ღვთის მწერად იყო მიჩნეული ძველ ხალხებში („культура древнего

египта“ მოსკოვი, 1976წ, გვ.74). მკვლევარი დავით კლდიაშვილი 325წ-ს ჩატარებული პირველი საეკლესიო კრების მონაწილე სტრატოფილეს შესახებ წერს: „ამ კრების შემორჩენილი ლათინური ნუსხის მიხედვით იგი არის ფუტიონელი, ხოლო სირიული ნუსხის მიხედვით დე-ფუტუნტა.“ (გაზ. „აკვირადალი №9, 2006წ, გვ. 4, „ფუსტები – ქართული სიწმინდეების მცველები“). ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება ის, რომ კოლხების წინარე ეთნოტოპონიმი ფუტიელებია. ამრიგად, ძველი ბერძნების მიერ აღწერილ ქალღმერთ ფასიანეს (ნანა/რეა-კიბალლე), ერქვა ფუტი, საიდანაც მიღებულია ფუტი (ბერძ. ბიბლია) დიოფუტე, ფურტიო, ფულტი, ოფიტარე, ფიტარეთი, ფუსტი, მისი კერაპები იდგა და პატივს სცემდნენ ყველა კოლხურ დასახლებულ პუნქტში და ოჯახში. ეზო კარმიდამო, სადაც ქალღმერთ ფუტის (ფასიანეს) თაყვანისმცემლები ცხოვრობდნენ, არა მარტო თავის სამკვიდროდ, არამედ ამ ღვთაების სამეფოდაც მიიჩნევდნენ. ამიტომ კოლხთა უძველესი შტო, ჭან-ლაზები ეზოს ოფუტეს, დიოფუტესაც უწოდებენ. სვანურად დიო გოგოს აღნიშნავს, ამიტომ შეიძლება დიო-ფუტე გოგოღვთაებას, ანუ ქალღვთაებასაც ნიშნავდეს.

მეცნიერული დასკვნებით, ფასიანე მზის ღვთაებად არის აღიარებული („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, თბ., 1970 წ., გვ. 677-680). აქედან გამომდინარე, იგივე არსი აქვს, ბუნებრივია, ფუტის კოლხურ ღვთაებასაც. ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე ტომები, კოლხ მთიელებს, რაჭველებს და სვანებს დღემდე „ებზეს“, (ს. რეზვიაშვილი, გაზ. „რაეო“, №3, 2008 წ., გვ. 19 „ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ძმობის ტრადიციები“). როგორც ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა, ამ ტერმინს ისინი უკავშირებენ მზისა და, საერთოდ, მნათობთა დასახელებას (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, თბ., 1960 წ., გვ 128-129). აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისმცემელ კოლხებს ანუ ფუტებს მათი მეზობლები ამის გამო დღემდე „ებზეებს“ უწოდებენ. აგრეთვე ამის გამო ძველი წყაროები კოლხ ფასიანელებს ფუტიელებადაც მოიხსენიებენ. როგორც მეცნიერულად მტკიცდება, პროტოქართველთა სახელი ფუტიელი (ფასიანელი), ეფუთში, ანუ ბიბლიის ძველ აღთქმაში, მოხსენიებული

ნოეს შვილიშვილის, ეთნარქ ფუტის სახელიდან უნდა მოდიოდეს (დაბადება 10-6). ძველ ეგვიპტურ წყაროებში მოიხსენება ფუ(ნ)ტის, ანუ „ღმერთების ქვეყანა“, საიდანაც ეგვიპტელებს ბრინჯაო შემოჰქონდათ. („культура древнего египта“, მოსკოვი, 1976წ, გვ. 92).



სურ. 8. ეს ძველეგვიპტური კალენდარი იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ. მის დასაწყისშია კურდღელი, რომელიც ამომავალი მზის სიმბოლოა მზის რელიგიაში. აღსანიშნავია, რომ სვანურად კურდღელს „მრაჭავ“ ეწოდება, რაც მზის ამ უძველესი რელიგიის გადმონაშთი უნდა იყოს.

ძველ აღთქმაში მოხსენიებული ნოეს შთამომავლები თუბალი და მოსხი მკვლევარებს ქართველთა ეთნარქებად მიაჩნიათ (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, „ქართველთა წინაპრების ისტორია ადამიდან იესომდე“, გვ.31-55) იქვე მათ გვერდით მოხსენიებულ ფუტებზე კი მეცნიერები დღემდე დუმან (ესაია 66-19). სახელ ფუ(ს)ტს იცნობს არა მარტო ზემოთ ხსენებული წყაროებიდან, არამედ გ. მელიქიშვილის გამოკვლევით, ხეთური სამყაროც (გ. მელიქიშვილი, ვღნ №1, 1965წ., სტ. 8-9)

ამრიგად, ტერმინი ფუ(ს)ტი, რომელიც დღემდე შემონახა დასავლეთ საქართველოს მთიანეთმა, უნდა მომდინარეობდეს ქართველთა უძველესი წინაპრების მზის ქალღვთაების კულტიდან – ფუტიდან. იგი კავშირშია ბიბლიური ნოეს შვილიშვილის ეთნარქ ფუტთანაც, რომელმაც სათავე დაუდო უძველეს დროში რელიგიური ცოდნის მატარებელ და შემნახველ პროტოქართველთა, ქურუმთა შტოს ფუტიელებს, იმავე ფუ(ს)ტელებს. ამ უკანასკნელთა მონათვლა ქრისტიანულ მრწამსზე უკავშირდება წმინდა ანდრია პირველწოდებულის მღვაწეობას. მათი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო 325 წელს პირველ საეკლესიო კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსი სტრატოფილე, რომელიც ლათინური და სირიული წერილობითი ძეგლების მიხედვით იხსენიება როგორც ფუტიონელი. თითქმის ოთხი ათასი წლის წინანდელი ფესტოსის დისკოზე წარმოდგენილია მზის ღვთაების, ფუტის, აღმნიშვნელი ნახატ-ნიშანი. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ყოფაში დღემდე არსებობს ფუ(ს)ტის სრული ქრისტიანული კანონიკით ნაგები ტაძრები, რომელებიც სამება-სულთმოფენობის არსს ასახავს. ამ ნახატ-ნიშანზე, რომელიც შესრულებულია ოთხი ათასი წლის წინ, გამოხატულია სამკუთხედიც, რომელიც ქრისტიანულ კანონიკაში სამების ნიშანია. ფაქტია ისიც, რომ ისტორიული კოლხეთის დღევანდელი მკვიდრები ღვთის წიგნს, ანუ ბიბლიას, ეფუტს უწოდებენ.

ფუ(ს)ტის სამხედრო-სარწმუნოებრივი კულტურის სახით კოლხეთის კავკასიონის მთიანეთში ჩვენ საქმე გვაქვს უძველესი წინარე ქრისტიანული სარწმუნოებრივი კულტურის ქრისტიანულ კულტურასთან თვისობრივად შერწყმისა და განვითარების უნიკალურ მოვლენასთან, რომელიც ასახავს სარწმუნოებრივი ისტორიული ციკლის განვითარებას უძველესი ხანიდან დღემდე და რომელმაც თავის წიაღში შემონახა ეროვნული ქრისტიანული კულტურის დაცვისა და გადარჩენის სრულყოფილი, მრავალათასწლოვანი სამხედრო-სარწმუნოებრივი კულტურა.

ფუსტელთა თეოგეოგრაფიული არეალი – კოლხეთის დიდი კავკასიონის მთიანეთი

თეოდოსი განგრელისა და ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ცნობით, ფუ(ს)ტელები სახლობენ კოლხეთის ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის მთიანეთში. ისინი ანდრია პირველწოდებულს მოუქცევია ქრისტიანობაზე, („გეორგიკა“, ტ. VI, თბ., 1941წ., გვ. 43).

როგორც ცნობილია, ისტორიული პროცესების ზეგავლენით ხალხთა განსახლების არეალი ცვლილებებს განიცდის, მაგრამ იმ ფუნქციალური არსით, რომელიც საერთო ქართული სახელმწიფოს წინაშე ჰქონდა კოლხეთის დიდი კავკასიონის მთიანეთის მოსახლეობას, ფუ(ს)ტელთა თეოგეოგრაფიული არეალის განსაზღვრა ემთხვევა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ტერიტორიას. ბუნებრივმა გარემომ, რომლითაც დააჯილდოვა ეს მხარე ღმერთმა, მართლაც, ბრწყინვალე შესაძლებლობებს იძლეოდა ეროვნული სულიერი კულტურული ფასეულობების საიმედოდ გადამაღვისათვის. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, რომელიც იშვიათ ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენს, რაჭა-სვანეთის ტერიტორიაზე არსად არ ჩამოდის მარადიული თოვლის ხაზს ქვემოთ. არც ერთი გადასასვლელი 3000 მეტრზე დაბალი არ არის. მწვერვალთა სიმაღლე 5000 მეტრს უახლოვდება და ზოგან კიდევაც აჭარბებს. უხვი ნალექის გამო კავკასიონის ეს მონაკვეთი ყველაზე მძლავრი და უწყვეტი მყინვართა წყებით არის წარმოდგენილი. აქ გადასვლა მხოლოდ ზაფხულშია შესაძლებელი და ისიც დიდი ალპინისტური – ტექნიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის. მაღალი გვერდითი კავკასიონის ქედები თითქმის შეუღწევადს ხდიდა ამ თეოგეოგრაფიულ არეალს. ეგრისის, კოდორის, სვანეთის, ლეჩხუმის, შოღა-კედელას, დვალეთის და რაჭის ქედების სისტემა უნიკალურ თეოგეოგრაფიულ საცავს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ეს რეგიონი უძველესი დროიდან ასრულებდა რელიგიურ ფასეულობათა საცავის როლს. მეცნიერებს დადგენილი აქვთ, რომ წარმართობის დროსაც საქართველო ერთიანი წარმართული რელიგიის

მიმდევარი იყო. „ქართველნიც, როგორც ნოეს შვილიშვილთაგან წარმომდგარნი, არ იყვნენ მოკლებულნი კერპთ მსახურებას. ძველის დროიდან იგინი დასახლდნენ არარატის და კავკასიონის მთებს შუა, დაიწყეს მეურნეობა, მუშაკობა და თავყვანის ცემა მრავალთა ღმერთთა.“ (მ. ჯანაშვილი „საქართველოს საეკლესიო ისტორია“, ტფილისი, 1886 წ., გვ. 12). „არგონავტების“ ეპოქის კოლხეთი მზის ანუ ფუტის ქაღვთაებას განადიდებდა. (აპ. როდოსელი, „არგონავტიკა“, თბ., 1975 წ.). არგონავტთა შემოსვლას ძვ. წ. აღ-ის XIV საუკუნეს უკავშირებენ მკვლევარები (ა. ურუშაძე „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბ., 1964 წ.). კოლხი მედეას ღალატმა მათ საშუალება მისცა ფუსტთა დაცვის ქვეშ მყოფი ეფუტი ანუ „ოქროს საწმისი“ მოეპოვებინათ.

ძვ.წ. აღ-ის I საუკუნის ბოლოს სტრაბონი იბერიაში მთვარის კულტის უპირველესობაზე გვამღვეს ცნობას. (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, 1960 წ., გვ. 50-52). ძველ სამყაროში მზისა და მთვარის თავყვანისმცემლებს შორის პირველობის გამო ხშირად იყო შეხლა-შემოხლა და ამ მხრივ არც ჩვენი ქვეყანა იქნებოდა გამონაკლისი. ამის აშკარა კვალი იკვეთება ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ არეალშიც. თუმცა აქ ისიც არის ყურადსაღები, რომ ეს მხარე თავისზე დაკისრებულ ფუნქციას – საკულტო ობიექტების დაცვას – მაშინაც პირნათლად ასრულებდა. ისტორიულად ფუ(ს)ტელები საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც ძველი აღთქმაში აღწერილი ლევიანები. ისინი იცავდნენ საკულტო ტაძრებს წარმართობის დროს, ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეკლესია-მონასტრებს (გაზ. „მრევლი“, №7, 2001წ. „ფუსტები“; ჟურნალი „ლაზარეს აღდგინება“, №XVI, გვ.15-18).

ძველ ხალხებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო თეოტოპონომის და ეთნოტოპონომის დამთხვევა. ხალხი იმ ღვთაების სახელით გამოხატავდა თავის ეროვნულ დასახელებას, რომელ ღვთაებასაც აღიარებდა. მზის ღვთაება ფუტის თავყვანისმცემელ პროტოქართველებს ფუტიელებად იხსენებს ძველი აღთქმა: „ქუმის ქვეყანა გამაგრებდა და უსაზღვრო ეგვიფტე, ფუტი და ლიბიელნი გიჭერდნენ მხარს“ (ნაუმ წინასწარ-

მეტყველი 3-9); „სპარსი, ლუდი და ფუტი იყვნენ შენს ლაშქარში – ომის კაცები; ფარს და მუზარადს შენთან კიდედნენ, ისინი გიქმნიდნენ ღიდებას“ (ეზეკიელი, 27-10); „ამხედრდით ცხენებზე, გაქანდით ეტლებო, დაე გამოვიდნენ ქუში და ფუტი, ფარის მპყრობელნი და ლიდიელები მშვილდის მომზიდველნი“ (იერემია 46-9). როგორც მტკიცდება, ძველი აღთქმის მიხედვით, ლევიანებიც ფუტიელთაგან იღებენ სიწმინდეთა დაცვის მადლს. ვინაიდან ლევიანი არონის ძე ელიაზარი თხოულობს ფუტიელის ერთ-ერთ ასულს, საიდანაც უფლებამოსილებით გვევლინებიან ლევიანთა მამამთავარნი თავიანთი საგვარეულობის მიხედვით: „ითხოვა ელიაზარმა, აარონის ძემ, ცოლად ფუტიელის ერთ-ერთი ასული და უშვა ქალმა ფინხასი. ესენი არიან ლევიანთა მამამთავარნი თავ-თავის საგვარეულობის მიხედვით.“ („გამოსვლა“ 6-25). ძველი აღთქმის მიხედვით, ცოლ-ქმრობა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი შტოს ჩამომავლებს შორის. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ფუ(ს)ტელთა დანათესავების მთავარი მოტივი ის იყო, რომ ლევიანებს სრულუფლებიანი ფუნქცია შეეძინათ სიწმინდეთა დაცვის საქმეში. მხოლოდ ამის შემდეგ იღებენ ლევიანები უფლის სამსახურში ჩადგომის მადლს. „გამოყავი ლევიანები ისრაელთაგან, რათა ჩემი იყვნენ ლევიანები“ (რიცხვნი, 8-14). „ჩააბარე ლევიანებს მოწმობის სავანე მთელი მისი მოწყობილობით, ყველაფრითურთ, რაც მას ეკუთვნის. მას მოემსახურონ და სავანის ირგვლივ დაიბანაკონ“ (რიცხვნი 1-50). აქვე უნდა გავიხსენოთ ვახუშტი ბატონიშვილის ვერსია სვანეთის ეტიმოლოგიის შესახებ. იგი სვანეთს, სწორედ, სვანეთს ითვლებს. ვახუშტი პირდაპირ შენიშნავს სვანეთის სოფელ ეცერის შესახებ, რომ ამ სოფელს ევალბოდა საქართველოს უმთავრესი სულიერი ცენტრის, მცხეთის სვეტიცხოვლის დაცვა (ვ. ბატონიშვილი „აღწერაი სამეფოსი საქართველოსი“). აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ძველი ტერმინი „არიან ქართლი“. ამ ტერმინს მეცნიერები დღეს იმით ხსნიან, რომ არიან-სპარსეთის ძველი დასახლება არის და ეს ნიშნავს „სპარსეთის – საქართველოსო.“ არადა, სულხან-საბას ლექსიკონი პირდაპირ გვეუბნება: „არილი“ – დასალაგებელი სიწმინდეთაო“ (ლექსიკონი, თბ. 1991 წ. გვ. 64). ლომის კარიელი – იერუსალიმის მთავარ სწმინდარსაც ეწოდებოდა.

გურიაში არის წმინდა გიორგის მთა, რომელსაც „ლომის კარიელი“ ეწოდება, რომელიც წარსულში ფუ(ს)ტელთა ერთ-ერთი ფორპოსტი უნდა ყოფილიყო გურია-აჭარის მხარეში.

ამრიგად, სხვადასხვა რელიგიების არსებობის პირობებში ფუ(ს)ტის ძირითადმა ფუნქციამ უძველესი დროიდან დღემდე მოაღწია. ძველი აღთქმის ზემოთ მოხსენებული ფუტიელები 4000-ზე მეტი წლის წინ იგულისხმებიან. დღეს ეს ცოცხლად მხოლოდ კოლხეთის კავკასიონის მთიანეთში დასტურდება (ჟურნალი „ცოტნიედელი“, ტ. II, თბილისი-ფაზისი, 2005-2008 წ.წ., გვ.58-64).

ფუსტელთა თეოგრაფიული არეალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ობიექტს წარმოადგენს ზვამლის მთა. ზვამლის მთის მიუდგომელ კლდეებში გამოკვეთილი იყო სამალავები, სადაც საერთო სახელმწიფოებრივი საშიშროების დროს ხდებოდა განძის და სხვა ძვირფასეულობის გადამალვა.



სურ. 9. ასეთი ტიპის კოშკი წმ. გიორგის არსს ასახავდა.



სურ. 10. ზვამლის მთა წარმოადგენდა ფუსტელთა
დაცვის ობიექტს, ვინაიდან იქ იყო საქართველოს
სახელმწიფოს განძისადავი.

ზვამლის მთის წვერზე დღემდე დგას პატარა ბაზილიკური წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც ყოველი სულიწმინდის მოფენის წინა დღეს, ან სულთაობას – მიცვალებულთა მოხსენების ამ მნიშვნელოვან ჟამს, აღინიშნება ზვამლობის დღესასწაული – სადაც მთელი რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი იყრიდა თავს.

ეს დღესასწაული გამოძახილია ფუსტელთა უძველესი ტრადიციისა, სადაც მათ პატივსაცემად, იმართებოდა დიდი სახალხო დღეობა; ამ დღეობაზე როგორც წმინდა მეომართა ხსოვნას ეკადრება, ძველ დროში იმართებოდა სამხედრო თამაშები და შეჯიბრი.

სვანეთის სოფლებისთვის, დღეს შემორჩენილი ტრადიციით, ფუსტობა – აღნიშნავდა იმ დროს, როცა ხდებოდა როტაცია, ანუ მეომართა ერთი წყების მეორეთი შეცვლა. როგორც უკვე ზემოთაც ითქვა, სვანურ



სურ. 11. ზვამლის წმინდა გიორგი დღემდე
წარმოადგენს, ფუსტელთა მოსახსენიებელ ტაძარს.

ქრისტიანულ ყოფაში ფუ(ს)ტი სამება-სულიწმინდისმოფენობის არსით დამკვიდრდა ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ. როტაციის განრიგი ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ციკლს და მთებში გზებზე უსაფრთხო გადაადგილების დროს. ამიტომ სვანეთის ქვემო სოფლებში ფუსტობას აღნიშნავდნენ გაზაფხულის ბოლოს, ზაფხულის დასაწყისში, ამის მერე როტაციის გრაფიკი ნელ ნელა მიცოცავდა ზემო სოფლებისაკენ და როგორც წესი, ყველაზე გვიან აღინიშნებოდა უმაღლეს დასახლებულ სოფლებში. ამ ძველი საროტაციო გრაფიკის მიხედვით, იგი ყველაზე ბოლოს სოფ. უშგულში აგვისტოს პირველ კვირას აღინიშნება. ფუსტობის საროტაციო დღეების გარდა, ფუსტის, ანუ სამების ტაძარში აღინიშნებოდა მისი ძირითადი დღესაასწაულიც – სულიწმინდის მოფენა და სამებობა. მაგალითად, საინტერესოა ისიც, რომ უშგულის ფუსტის (სამების) ტაძარში დღემდე აღინიშნება ღვინობის (ოქტომბერი) თვის ყოველ პირველ ორშაბათს ღვინობა დოშტიშ (ღვინის

დღესასწაული), სადაც ძველად თეთრი მოზვრითა და ცხენებზე აკიდებული ღვინით სავსე ცალებით უშგულის ფუსტის (სამების) ტაძარს სტუმრობდნენ რაჭველები. თითქმის ორასი წლის წინ შეწყვეტილი ეს ტრადიცია კვლავ განახლდა ამ ბოლო წლებში, თუმცა ცხენების ნაცვლად ავტომობილებითა და ცხენზე აკიდებული ხარის ტყავისაგან შეკერილი საღვინე ცალების ნაცვლად, პლასტმასის ჭურჭლით. რას ვიზამთ, ასეთია ეპოქის კორექტივები.



სურ.12. უშგულის ფუსტის (სამების) ტაძარში ღვინის დღესასწაულზე (ღვინობა დოშთიშის) მომავალი ქუთაისის „ფუსტთა“ ახალგაზრდული საზოგადოების წევრები.

არ არის დასამალი ის, რომ ერის კონსოლიდაციის უებარი საშუალება ფუსტობის უძველესი ტრადიციის გახსენებაშიც მდგომარეობს. მაგრამ არც იმაზე უნდა დავხუჭოთ თვალები, რომ ქართველი ერის ჯანსაღი გზით სვლასაც ჰყავს თავისი ფარული მტრები, რომელებიც ფუსტს ანუ სამებას ქილიკით „პუსტა-პუსტად“ აღიქვამენ.

ფუ(ს)ტები უცხოურ წერილობით წყაროებში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფუ(ს)ტების სხენება გვხვდება ძველ ბერძნულ წყაროებში I-VII ს.ს.-ში. ეს წყაროები ასხენებენ „ფუსტას მხარეს“, „ფუსტას ხალხს“, „ფუსტას ციხეს“. მკვლევარი გოჩა გუგუშვილის აზრით: „ფუსტი დიდი ღვთაებაა სვანურში, დიდი ღმერთი, წმინდას სინონიმი. კავკასიის ხალხთაგან მხოლოდ სვანეთშია შემორჩენილი და დღემდე არსებობს ფუსტას სახელობის ეკლესიები“. (ჟურნ. „ორნატი“, ნიკორწმინდის ეპარქიის გამოცემა, №1, 2003 წ., გვ.60). ასევე შეიძლება ითქვას, რომ ღვთისმშობლის, ანუ სვანურად ლამარიას, ტაძრები მხოლოდ სვანეთშია; ასევე ჯგერაგი (სვ. წმ. გიორგი), თარინგაზალ, რაც სვანურად მთავარანგელოზს აღნიშნავს, და სვანური ფუსტი, რაც ქართულში შეესაბამება სამებას, ანუ უმაღლეს ღოგმატს ქრისტიანული სარწმუნოებისა. ტერმინი ფუსტელი გამოხატავს საეკლესიო სიწმინდეთა დამცველი რაინდის არსსაც. ავტორი ამასთან იძლევა ისტორიული რეალობის ამსახველ ცნობასაც: „ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, თანამედროვე რაჭის და სვანეთის მთიანეთის გარკვეულ ნაწილს ერქვა სწორედ ფუსტა, ფუსტეთი, იქ მცხოვრებ ხალხს კი ფუსტელები. რაჭაში მდებარე თანამედროვე სოფელ ფუტიეთს დიდი ხნის ისტორია აქვს, აქ აღმოჩენილია ქრისტეს შობამდე ძვ. წ. I ათასწლეულის ბრინჯაოს ბალთა. მრავალი უცხოელი მოგზაური და მკვლევარი საინტერესო ცნობებს გვაწვდის მის შესახებ, მაგ., გერმანელი გიულდენშტედტი, გრაფინია უვაროვა და სხვა“. (ჟურნალი „ორნატი“, ნიკორწმინდის ეპარქიის გამოცემა, №1, 2003 წ., გვ.60). ამრიგად ბერძნულ წყაროებში მოხსენებული ფუსტა, ეჭვს გარეშეა, ასახავს დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის, მკვიდრთა ფუნქციურ დატვირთვას, რომელიც ფუსტელის შინაარსში იდო და გამოიხატებოდა საეკლესიო სიწმინდეთა დაცვის ფუნქციაში. ვინც ღრმად ჩაწვდება და გაიცნობს სოფ. ფუტიეთის ისტორიულ ფუნქციას, ამაში იგი თვალნათლივ დარწმუნდება.



სურ. 13. ასე გამოიყურებოდნენ სოფელ ფუტიეთის მკვიდრნი XX საუკუნის პირველ ნახევარში.




სურ.14. ფუსტელთა ნოსტალგია ძველი დიდების გახსენებით გამოიხატება სოფ. ფუტიეთის დღევანდელ მკვიდრებში.



სურ.15. ასეთი იყო ფუსტელთა მთავარი ფორპოსტის სოფ. ფუტიეთის მკვიდრთა ტრადიციული სამოსი.

ბერძნულის გარდა, ჩვენ ვხვდებით ძვ. წ. XVI ს. ძველ ეგვიპტურ პაპირუსში მოხსენებულ ფუ(ნ)ტის, ანუ „ღმერთების ქვეყანას“, საიდანაც ეგვიპტელებს ბრინჯაო შემოჰქონდათ. უცხოელ მეცნიერთა კარაუდით, ეს ქვეყანა დღევანდელ სომალში უნდა ყოფილიყო. („КУЛЬТУРА ДРЕВНЕГО ЕГИПТА“, მოსკოვი 1976 წ., გვ. 92; ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება, ვ. აფანასიევა, ე. ლუკონიანი, ნ. პომერენცევა თბ. 1986წ. გვ.356). სად იყო ფუ(ნ)ტის, ფუტის, ფუ(ს)ტის ანუ „ღმერთების ქვეყანა“? კოლხეთის დიდი კავკასიონის მთიანეთი ანუ ფუსტელთა მხარე უმდიდრესია ბრინჯაოს სამთო-მეტალურგიული კერებით. ამ მხრივ გამორჩეულია რიონის ზემო წელი, სადაც აღმოჩენილია 100-მდე მადარო და მეტალურგიული კერა ბრინჯაოს წარმოებისათვის. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 1970 წ., გვ. 278-282). მეცნიერთა დასკვნით, აქაური გრანდიოზული მასშტაბის სამთომადო კერა პროდუქციას აწვდიდა: ბალკანეთის, ეგეოსისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს, მათ შორის ეგვიპტესაც. გარდა ამისა არსებობს ძვ.წ. XX ს. ძველ ეგვიპტური პაპირუსი, რომელიც დაცულია სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის საცავში. მასში მოთხრობილია „ხომალდის დაღუპვას გადარჩენილი კაცის ამბავი“ („КУЛЬТУРА ДРЕВНЕГО ЕГИПТА“, მოსკოვი, 1976 წ., გვ.102). ამ პაპირუსშიც მოთხრობილია კოლხეთის კავკასიონის მთიანეთში არსებული ბრინჯაოს მადაროებში ფარაონის მოხელის მოგზაურობა. ამრიგად, ძველ ეგვიპტური წყაროები ჯერ კიდევ „არგონავტების“ გამოჩენამდე რამოდენიმე საუკუნით ადრე იხსენებენ ფუ(ნ)ტის ანუ „ღმერთების ქვეყანას“. რომელიც ფიქსირდება ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ არეალში – კოლხეთის დიდი კავკასიონის მთიანეთში.



სურ. 16. ძვ.წ. აღ-ის XX საუკუნის პაპირუსში აღწერილია ფუტის ქვეყანასა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობის ფაქტი.

მათ შემდეგ კოლხეთს ესტუმრნენ ბერძენი „არგონავტები“. მათ მიერ „ოქროს საწმისის“ მოტაცების ბერძნულ ისტორიებში ფუ(ს)ტები არიან მოხსენიებული, ტავრების სახელით. (ა. ურუშაძე „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში“, თბ., 1964წ., გვ.392). ვინაიდან მზის ღვთაებათა ტაძრებში მთელი დღის განმავლობაში ქურუმთა რიტუალები მიმდინარეობდა, მათი სამხედრო დაცვა მხოლოდ ღამით იყო აუცილებელი (ლ. ჭილაშვილი, „ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები“, თბ., 2004წ., გვ.73). ღამის სამხედრო დარაჯს სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით ტალა ეწოდება. („ლექსიკონი“ თბ., 1991წ., ტ.I, გვ.197). აქედან გამომდინარე, ბერძენთა

მიერ დასახელებული ღამის სამხედრო დაცვა – ტავრები, ტალები ანუ იგივე ფუ(ს)ტები უნდა ყოფილიყვნენ. ეს სარწმუნოა, რდგან როგორც ვხედავთ, ამ პერიოდამდე გაცილებით ადრე ფუ(ს)ტებს იხსენებს ზემოთ უკვე ნახსენები ძველევგეპტური და ხეთური წყაროები. არგონავტების პოემაშივე გვხვდება ასეთი ფაქტი: კუნძულ კრეტას მცველია სპილენძის გოლიათი ტალოსი. (აპ. როდოსელი, „არგონავტიკა“, თბ. 1975წ., გვ.201-202).

ფუ(ს)ტელთა სამხედრო-სარწმუნოებრივი საიდუმლო ორდენის შესახებ ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის მოგზაური იტალიელი ღონ ქრისტოფორო დე კასტელი. რომელიც წერს, რომ დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ მხარეს (ფუსტელთა თეოგეოგრაფიული არეალი): „მრავალი ეკლესიაა, რომელიც მდიდარია წმიდა უამრავი რელიკვიებით. იმ დროს, როცა ქრისტიანები ომს აწარმოებდნენ მაჰმადიანებთან, მთებში წამოიღეს რელიკვიები, რათა არ გაენადგურებინათ ისინი“ (ბ. გიორგაძე, „ღონ ქრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“, თბ., 1977წ.) საინტერესოა, რომ ფუ(ს)ტელთა საიდუმლო ორდენს კასტელი „იანის“, „იოანის“ უწოდებს. როგორც ჩანს, და ასეც უნდა ყოფილიყო, კასტელის, როგორც უცხოელს, ბოლომდე არ გაუმხილეს ფუსტის სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის ყველა საიდუმლო. მაგრამ კასტელმა, ალბათ, შეამჩნია ამ ორდენის წევრებისთვის დამახასიათებელი გვართა დაბოლოებანი, რომელიც სვანურ გვარებს დღემდე აქვთ. რითაც მან გააკეთა დასკვნა „იანის“ და „იოანის“ საეკლესიო სიწმინდეთა მცველ კასტაზე, რომელიც სინამდვილეში ფუსტის ტრადიციას ემსახურებოდა. კასტელი იმასაც გვამცნობს, რომ „მათი იარაღია შუბი, ხმალი, მშვილდ-ისარი და სხვა. მარჯვენა ხელში ხმალი უჭირავთ, მარცხენაში ვერცხლის ჯვარი, რომლის დიდი თაყვანისმცემლნი არიან“ (გვ.156).



სურ. 17. იტალიელი მოგზაურის, კასტელის, ალბომში დაფიქსირებულია ფუსტის სამხედრო-საეკლესიო რაინდის ტიპაჟი.

კასტელი ფუსტელთა მხარეს ასეთი ტერმინითაც აღნიშნავს: „მოსჯეტე ჩიბენესჯერად წოდებული“ (გვ. 154).

გაეცნენ რა აღმოსავლეთ ქრისტიანულ ტრადიციებს, ევროპელმა ჯვაროსნებმა 1119 წელს იერუსალიმში, იმ ადგილას, სადაც სოლომონის ტაძარი იდგა, დააარსეს ტამპლიერთა ორდენი (ტამპლიერი – ფრანგ. მეტაძრები), რომლის მიზანი იყო ეკლესია-მონასტრებისა და მომლოცველთა დაცვა (აკაკი გელოვანი, „რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი“, თბ., 1990წ., გვ.182). როგორც ჩანს ევროპელმა რაინდებმა მთლიანად გადაიღეს ფუსტელთა მრავალათასწლოვანი გამოცდილების ამსახველი რიტუალებიც.

რაინდად კურთხევის კანდიდატი ღამეს ათევდა სამრეკლოში, ესწრებოდა წირვას დილით, ზიარების შემდგომ მას ეპისკოპოსი წელზე

შემოარტყამდა სატიტულე მახვილს, რომელსაც ევროპაში ფუსტაკი ეწოდებოდა (ალა იასტრებიცკაია, „XI–XIII ს.ს. დასავლეთი ევროპა“ თბ., 1981 წ., გვ. 128). აღსანიშნავია, რომ ვადაჯვრიან მახვილს, რომელსაც ევროპა ფუსტაკით იცნობდა, საქართველოს მთაში ფრანგულს უწოდებდნენ.



სურ. 18. ევროპელ ტამპლიერთა ორდენის დაარსება ფუსტელთა ტრადიციასთან ამჟღავნებს კავშირს.

ამრიგად, ძველი ალთქმის, ძველი ეგვიპტის, ხეთების, ძველ ბერძენთა წერილობითი ძეგლები ფუსტის სამხედრო-სარწმუნოებრივი ტრადიციის შესახებ მნიშვნელოვან და დამაჯვრებელ ცნობებს გვაწვდიან.

ამასთან ევროპელ ტამპლიერთა ორდენის შექმნაშიც იკვეთება აღმოსავლეთის ქრისტიანული შედევრის, ფუსტობის გავლენა.

ფუტიმთი – ფუსტელთა ბარნიზონი, რომელიც იცავდა უპველესი კოლხეთის უმთავრეს საკულტო ცენტრს

ქრისტიანობის შემოსვლამდე ქართველთა წინაპრები ასტრალური რელიგიის: მზის, მთვარის, ვარსკვლავთა თაყვანისმცემელნი იყვნენ. არქეოლოგიური და ძველი წერილობითი წყაროები მტკიცედ ადასტურებენ ჩვენი წინაპრების ასტრალური რელიგიის მიმდევრობას.

აპოლონ როდოსელის „არგონავტიკა“ ერთ-ერთი ძვირფასი წყაროა იმისა, რომ იმ დროში კოლხეთში მზის თაყვანისცემის კულტი ბატონობდა. (აპ.როდოსელი, არგონავტიკა. თბ. 1975 წ.) თვით მეფე აიეტიც მზის ქალღვთაების ფუტის (ფასიანეს) შვილად ითვლებოდა. ხოლო მისი გრძნეული ქალიშვილი მედეა, კოლხთა უმთავრესი მზის ანუ ფუტის უმაღლესი ქურუმი იყო.

ასტრალური რელიგიის მთავარი თავისებურება ის იყო, რომ ქვეყნის უკიდურესი აღმოსავლური პროვინცია ცხადდებოდა მზის ღვთაების სამეუფოდ. ამის დამამტკიცებელ ცნობას გვაწვდის ბერძენი მოგზაური სტრაბონი, როცა აღწერს I საუკუნის წარმართულ იბერიას. სტრაბონის ცნობით, იბერიის მთავარი სატაძრო ოლქი იყო იბერიასა და ალბანეთს შორის არსებული ყველაზე აღმოსავლური პროვინცია კამბეჩოვანი ანუ ქიზიყი. (სტრაბონის გეოგრაფია. XI, IV, VIII ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1975წ., გვ.134-135).

მზის თაყვანისმცემელთა მეორე უმთავრესი კანონით, სატაძრო ოლქის ზუსტად შუა ნაწილში იგებოდა ქვეყნის უმთავრესი საკულტო ტაძარი. თუ დავაკვირდებით ქიზიყის გეოგრაფიულ მახასიათებლებს ამაში ადვილად დავრწმუნდებით. ქიზიყის აღმოსავლეთი მიჯნა,

ხორნაბუჯის ანუ ჭოეთის ციხეა, ხოლო დასავლური მიჯნა ჭოტორის უღელტეხილი. ზუსტად ამ ორ გეოგრაფიულ წერტილთა შუამართებელი მონაკვეთის შუაში მდებარეობს ბუდე, ანუ დღევანდელი ბოდბე. აქვე უნდა გავითვალისწინოთ პირველ ქრისტიან მოღვაწეთა წესჩვეულებაც. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, პირველ რიგში ელვაწათ ქვეყნის უმთავრეს საკულტო ცენტრში. თუ ცენტრში დაანგრევდნენ წარმართობას, პერიფერიებში ის უკვე იოლად იძლეოდა. ასეთი სწორი სტრატეგიის გამოა, რომ წმინდა ნინო ბოდბეშია (ძველ ბუდეში) განსვენებული (ივ. შაიშმელაშვილი, „ქიზიყი“ თბ., 1973წ.) და არა, ვთქვათ, მცხეთაში, რომელიც იყო ქვეყნის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი, რომლის შესახებაც მემკატიანე ამბობს: „სადაც მეფენი მეფობენ და ღმერთნი – ღმერთობენ.“

ბუნებრივია, მსგავსი რელიგიური კანონით ცხოვრობდა აიეტის, ანუ „არგონავტების“, ეპოქის კოლხეთიც. რის გამოც კოლხეთის სატაძრო ოლქი იყო თაკვერი, ანუ რაჭა-ლეჩხუმი, რომლის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი. თაკვერის უკიდურესი აღმოსავლეთის გეოგრაფიული წერტილია მდინარე ჯოჯორის სათავეში მდებარე მწვერვალი მზეკარა ხოლო უკიდურესი დასავლეთისა – ცაგერის (ცაგარის) მახლობლად მდებარე ჯონოულის სათავეში მდებარე მწვერვალი ცეკური (სვანურად: ცის კარი), ამ ორ უკიდურეს წერტილს შუა მდებარეობს სოფ. ფუტითი (არ დაგვავიწყდეს, ფუტი – მზის ქალღვთაება და პროტოქართველთა ძველი დასახელებაც), რომლის პირდაპირ, სიხამთის მასივზე, დღემდე არის შემორჩენილი უძველესი მზის (ფუტის) ტაძრის ნაშთები, რომელსაც ხალხი: სიხამთის „ნაეკლესიავს“ უწოდებს. ამ ადგილს, სადაც ეს უძველესი, წარმართული მზის ტაძრის ნანგრევებია, ყაფარიც ეწოდება, ყაფარი, სულხან-საბას განმარტებით, აღმართულს ნიშნავს. (ლექსიკონი, თბ., 1991წ., ტ.II). რაც შეეხება სიხამთას, ისიც მზის თაყვანისცემასთან

არის დაკავშირებული. სულხან-საბას განმარტებით, ხირხალი ეწოდება გამყოფ ზღუდეს ორ მოსაზღვრე ობიექტს შორის. ამ შემთხვევაში, მზის თაყვანისმცემელთა კანონიკით, ცის გუმბათის აღმავალი და დაღმავალი კამარების გამყოფს. ცის გუმბათზე მზის ბირთვის გადაადგილებას, მზის თაყვანისმცემელთა წარმოდგენით, ფუნაგორია (სკარაბეი) ახდენდა, რომელიც ჯერ აღმა მიაგორებდა მზის გავარვარებულ ბირთვს, ხირხალამდე, შემდეგ კი – დაღმა.

ძველ ეგვიპტეში გაბატონებული მზის კოსმოგენური დებულებები კავშირს ამჟღავნებს რაჭა-ლეჩხუმის უძველეს, მზის რელიგიის დებულებებთან. ძველ ეგვიპტეში არსებობდა მზის რელიგიის მთავარი საკულტო ქალაქი ონი. (დაბადება 41-45,50; 46-20). გერმანე გობეჯიშვილის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს რაჭაში აღმოჩენილია რამდენიმე ათეულამდე ეგვიპტურდამწერლობებიანი ფუნაგორიას (სკარაბეის) ფიგურები. (გ. გობეჯიშვილი, „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“, თბ., 1952წ., გვ.104). არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი წერს: „რომელი გზით მოხვდა ჩვენში ეგვიპტური ნივთები – ხმელეთის თუ საზღვაო გზით? უფრო საფიქრებელია, რომ ამ უკანასკნელით“. ეს აღმოჩენები დაკავშირებულია იმ სოფლის დასახლებასთან, რომლის სახელი ემთხვევა ძველ ეგვიპტური მიწის ღმერთის ღების სახელს. დილის ამომავალ მზეს ეგვიპტეში – ამონი ეწოდებოდა, შუადღის მზეს, რომელიც ფუნაგორიას ხირხალზე აჰყავდა – რა, ხოლო საღამოს ჩამავალ მზეს – ატონი. ბერძნები კოლხეთის მთების იმ მკვიდრებს, რომელიც რიონის ზემო დინებაში ცხოვრობდნენ, ამარანტებადაც. (ამონ-რა-ატონ) მოიხსენიებენ. (აბ. როდოსელი, „არგონავტიკა“, თბ., 1975წ., გვ.91,208). ამკარაა ეს სახელწოდება კავშირს ამჟღავნებს ძველ ეგვიპტურ მზის თეოლოგიურ დებულებასთან. ამიტომაც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, აქ მდებარე ფუნ(ნ)ტის, ბრინჯაოს

მადნით მდიდარ კოლხთა სატაძრო ოლქს, ეგვიპტელები „ღმერთების ქვეყანასაც“ უწოდებენ. არგონავტების ეპოქის კოლხეთში მზის მთავარი საკულტო ცენტრის არსებობას ხიხამთის მასივზე და მის მახლობლად სოფ. ფუტიეთის არსებობას მზის თაყვანისმცემელთა თეოლოგიური კანონები განსაზღვრავს. მზის თაყვანისმცემელთა ეს თეოლოგიური დებულებები ონის ქურუმთა მიერ იქმნებოდა და მათი უსიტყვოდ მიღება მზის ანუ ფუტის ღვთაების თაყვანისმცემელთა მიერ აუცილებელი იყო. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბერძნების მიერ „ოქროს საწმისის“ მოტაცება სწორედ ხიხამთა-ფუტიეთის მზის უმთავრესი ტაძრიდან მოხდა. ის ტავრები, რომლებიც ბერძნულ წერილობით წყაროებში არიან მოხსენებული, წარმოადგენენ ფუსტელებს, რომლებიც ამ საკულტო ცენტრში, ფუტიეთში სახლობდნენ და წარმოადგენდნენ გარნიზონს, რომელსაც კოლხთა ამ მთავარი საკულტო ცენტრის დაცვა ევალებოდა. ბერძნულ წყაროებში კოლხთა სულიერ დედაქალაქად იხსენება სიბარი-სი. ხიხამთის მზის ტაძრის ნაშთები ამჟამად მდებარეობს ფუტიეთთან ტერიტორიულად ყველაზე უფრო ახლო მდებარე სოფელთან, რომელსაც ბარი ეწოდება. სიტყვა ბარი, სულხან-საბას განმარტებით, მზის უმრეტი ენერგიის აღმნიშვნელია და არა გეოგრაფიული ტერმინია ბარისა, ამასვე გამოხატავს სიტყვა ბარაქა, რაც უმრეტი ენერგიას, ანუ ულევ სიკეთეს უკავშირდება. მზე კი, მზის თაყვანისმცემელთა წარმოდგენით, სწორედ რომ, უმრეტი და ულევი, ბარაქიანი ენერგიის განსახიერება იყო.

ამგვარად, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის თეოგეოგრაფიული ტოპონიმები ხიხამთა, ფუტიეთი, ბარი, მრავალძალი, წარმოადგენს უძველესი, არგონავტების დროინდელ კოლხეთის მზის რელიგიის საკულტო ცენტრს, საიდანაც არგონავტებმა მოიტაცეს „ოქროს საწმისი“, ანუ ბრინჯაოს ტექნოლოგიის ცოდნის წიგნი. ეფუტი, ფუტიეთი, ფუ(ს)ტიეთი კი ის დასახლებული პუნქტია, რომელსაც ამ საკულტო ტაძრის ღამით სამხედრო დაცვა ევალებოდა, ანუ სულხან-საბას განმარტებით რომ ვთქვათ, ტალების თუ ტავრების ფუნქციას ასრულებდა.

ბავრაცი – ფუსტის რაინდთა საწინამძღვრო დროშები

როგორც ცნობილია, ძველი მსოფლიოს ხალხები დროშებს და ემბლემებს უძველესი დროიდან იყენებდნენ. ძველი აღთქმიდან (რიცხვნი, 2-34) ცნობილია დროშების არსებობის ფაქტები. ძველ ხალხებში დროშა უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა და ღვთაებრიობის მატარებელი იყო. მაგალითად, ძველი ეგვიპტელები ღმერთს დროშის სახის იეროგლიფით აღნიშნავდნენ.

წარსულში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს ქრისტიანობასთან სხვადასხვა დამოკიდებულება ჰქონდათ. სამწუხაროდ, გაბატონებული იყო აზრი, რომ მთა ქრისტიანობის მოძულე და უარმყოფელი იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეს მახასიათებელი ზოგად ფორმულად ჩამოყალიბდა მეცნიერულ აზროვნებაშიც, რის გამოც ეს მცდარი შეხედულება კოლხეთის დიდი კავკასიონის თეოგეოგრაფიულ არეალიზეც გავრცელდა. არადა, ამ ზონაში მდებარე საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი კუთხე, სვანეთი იყო ის მხარე, რომელმაც პირველივე საუკუნიდან გაიცნო ქრისტიანობა, მტკიცედ შეისისხლხორცა იგი და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. რუსული იმპერიის ბატონობის დროს, ორასწლოვანი სულიერი გენოციდის პირობებში მხოლოდ სვანეთმა გადაარჩინა ეროვნული მართლმადიდებლური ღირებულებები და ცნობიერება.

ამიტომ სვანური ქრისტიანული ფენომენის შესწავლას და გამოძიებებს დღეს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახელმწიფოებრიობის სულიერი სიკვდილის მდგომარეობიდან გამოყვანის საქმეში.

ფუსტელ რაინდთა უმთავრესი საბრძოლო-საწინამძღვრო დროშა „ლეში“ ინახებოდა ზემო სვანეთში, მესტიის თემის სოფელ სეტის წმინდა გიორგის ეკლესიაში. მის გრძელ ტარს ჩამოცმული ჰქონდა ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის შუბი. შუბის ერთ მხარეს თავით ფეხებამდე გამოსახულია ლატალის წმინდა იონა და უღვირის


მთავარანგელოზი, ხოლო მეორე მხარეს – თავით ფეხებამდე სეტის წმინდა დიდმოწამე გიორგი. ამასთანავე მასზე არის ცხრამეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენებულია „ლეში“ და „ბენდიერი სვანეთის ერთობლივი ხევი“. თვითონ დროშა შეკერილია ყვითელი (ჩალისფერი) აბრეშუმის ქსოვილისაგან, მისი ფორმა ზოომორფულია, ცხოველის საერთო სიგრძე, კუდის ჩათვლით, 2 მეტრი და 24 სანტიმეტრია. თავზე დაკერებული აქვს ყურები, შუბლზე ვერცხლისფერი ორი ჯვარი, ასეთივე ჯვრები აქვს ტორებზეც. პირი, ყბა, კბილები და ენა ვერცხლისგან იყო დამზადებული. პირი დაღებული ჰქონდა და შიგ ჩასმული იყო ვერცხლის წითლად შეღებილი ენა და კბილები. როცა დროშა უძრავადაა, იგი ბუნზე უფორმო ნაჭრად კიდია, მოძრაობის დროს კი ჰაერით ივსება, იბერება და ლომის მოყვანილობას იღებს. გადმოცემით ირკვევა, რომ ძველად დროშა ისე იყო მოწყობილი, რომ მოძრაობისა და ქარის დაბერვის შედეგად ლომი ღრიალის ხმასაც გამოსცემდა. ეს შესაძლებელია, ვინაიდან რომელიც ისტორიკოსის, არიანეს (II საუკუნე) ცნობით, სკვითებსაც ჰქონიათ ისეთი დროშები, რომლებიც ფრიალის დროს ხმებს გამოსცემდნენ, რითაც მოწინააღმდეგეს თავზარს სცემდნენ და ცხენებს უფრთხობდნენ.

მკვლევარების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი დროშა ბარბაროსებისაგან გადმოიღეს სვანებმა, კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები სარმატებისაგან. (სალომე გურჩიანი, გაზ. „სვანეთი“, №4(12)-1998წ., გვ.4, „ლომ“-სვანთა ზოომორფული დროშა“). დროშის დაფუძნების ასეთი ვერსია გულუბრყვილოა. დროშა იყო საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საზოგადოების მსოფლმხედველობის გამოვლინება და ასე მარტივი მიზანძვით მისი გადმოღება არ ხდებოდა, მით უმეტეს, რომ „ლეში“ გაჯერებულია ქრისტიანული ნიუანსებით, რაც ჩრდილოეთ კავკასიიდან მის შემოტანას გამორიცხავს. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ძველ დროში, ემბლემების შექმნას საფუძვლად ყოველთვის მტკიცე სარწმუნოებრივი მრწამსი ედო. ამგვარ მცდარ მოსაზრებას განაპირობებს კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ: ვინაიდან სვანები მთის ხალხია, ისინიც სხვა მთიელების მსგავსად

აუცილებლად წარმართები უნდა იყვნენ და არ ითვალისწინებენ სწორედ ყველაზე ნიშანდობლივს – სვანურ ქრისტიანულ ფენომენს.

ბიბლიის ტექსტებიდან ცნობილია, რომ ისრაელის ერთ-ერთ შტოს, ბენიამინელებს, ცისფერი ლომის გამოსახულებიანი დროშა ჰქონდათ. ლომის გამოსახულებიანი დროშები ხშირი იყო სხვადასხვა ხალხებში, მათ შორის ევროპაშიც. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ქართველთა განსაკუთრებული დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ. პროკოფი კესარელი ჯერ კიდევ VI საუკუნეში წერდა: „ჩემთვის ცნობილ ერთა შორის ყველაზე ერთგული ქრისტიანები იბერიელები არიან“.

დროშა „ლემის“, ანუ ლომის, წარმოშობის უმთავრეს საფუძვლად უნდა ვივარაუდოთ ის ისტორიული ფუნქცია, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთიანეთს ქართული ერთიანი სახელმწიფოს წინაშე ჰქონდა ფუსტობის სახით, რაც მდგომარეობდა გარეშე მტრის შემოსევის დროს საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსების დაცვაში. ამის გამო რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი უნდა განვიხილოთ როგორც ფუსტელთა თეოგეოგრაფიული არეალი და სარწმუნოებრივი კულტურის დიდი ეროვნული მუხეუმი.



სურ. 19. დროშა „ლემი“ ქრისტიან ფუსტელთა საწინამძღვრო ბავრაცი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლომი, როგორც ცნობილია, ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში შემდეგი დატვირთვის მატარებელი იყო: როგორც არქიმანდრიტ რაფაელის (კარელინი) ერთ-ერთ ქადაგებაში ვკითხულობთ, იერუსალიმში იდგა სამსხვერპლო, რომელსაც „მოვიზვიზე ლომს“, ანუ არილს „ღვთის ლომს“, უწოდებდნენ. ამ სახელით წინასწარმეტყველები ხშირად იხსენებენ იერუსალიმს, რომლის ემბლემა ლომი იყო. როგორც ვხედავთ, იერუსალიმის ღვთის მთავარ სამსხვერპლოს არილი, ანუ „ღვთის ლომი“, ეწოდებოდა. ამასთან თვით წმინდა ქალაქის ემბლემაც ლომია. ძველ წყაროებში მოიხსენიება არიან-ქართლი, ზოგი ამ ტერმინს სპარსეთის ძველ სახელთან აკავშირებს, ე.ი. სპარსეთის – საქართველოთი ხსნიან. მაგრამ, თუ გავიხსენებთ ზემოთ მოყვანილ პროკოფი კესარიელის სიტყვებს და ქართველთა ქრისტიანული რწმენისადმი ერთგულებას, აქ უფრო „ღვთის ლომი – საქართველო“ უნდა იგულისხმებოდეს და არა სპარსეთის – საქართველო. თუ ასეა, საქართველოს სხვა დამპყრობნიც ახსოვს და რატომ არ იცნობს ისტორია ასეთ ტერმინებს: სელჩუკთა-საქართველო, მონღოლთა-საქართველო, რუსთა საქართველო და სხვა. აქ ქართველი ერის ორასწლოვანი სულიერი გენოციდის მავნე გავლენაც უნდა დავინახოთ. უნდა გავიხსენოთ, რომ თვით ქრისტეც ლომის სახით არის წარმოდგენილი „გამოცხადებაში“: „ნუ სტირი, გაიმარჯვა ლომმა, იუდას ტომიდან, დავითის ფესვიდან, რათა გაიხსნას წიგნი და მისი შვიდი ბეჭედი“ (გამოცხადება 5-5).

ფუსტელთა თეოგეოგრაფიული ზონის უმთავრეს კარიბჭეს წარმოადგენდა, ისტორიული ფუ(ს)ტას ციხე, მოგვიანებით კირიესციხე ანუ კვარაცხე. ამ ციხის მთავარ კოშკს „ლომის კოშკი“ ეწოდებოდა.

ფუსტის რაინდთა გადაადგილების და ბაზირების ობიექტები საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა კუთხეებში დღეს კიდევ შემორჩა. მაგალითად, ფუთი-ილეში იმერეთში, „ლომის კარიელის“ წმ. გიორგის მთა გურიაში, „ილმა ჯვარი“ კახეთში იერუსალიმის მეტოქე სოფელში – კისისხევში და სხვა. თუ გავიაზრებთ ფუ(ს)ტელთა ფუნქციას და დამსახურებას ქართული ეკლესიის წინაშე, სულაც არ არის საკვირველი, რომ „ლეშის“ არსში ზემოთ უკვე აღნიშნული „ღვთის ლომის“ სიმბოლიკა

დავინახოთ. აქ იგულისხმება ღვთისადმი, ანუ ქრისტიანობისადმი, ლომივით ძლიერი ერთგულების გამოხატვა. მით უმეტეს, რომ „ლემს“ სხეულზე ამოქარგული აქვს ჯვრები, რაც მის უდავო ქრისტიანულ სიმბოლიკას ასახავს ეს დროშა წმ. გიორგის ტაძარში იყო დაბრძანებული და მისი ტაძრის ბუნეიკი ქრისტიანი წმინდანებითა და სათანადო ქრისტიანული ტექსტებით არის შექმნილი. დროშა „ლემი“ წარმოადგენს ქრისტიან-მეომარ რაინდთა თავდროშას, ანუ ბავრაცს, მისი წარმოშობაც და ფუნქციაც ძირფესვიანად არის დაკავშირებული ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ ფუნქციასთან. დღეს ჩვენს აზროვნებას უჭირს თავი დააღწიოს ორასწლოვანი სულიერი გენოციდის მავნე ფსიქოლოგიურ გავლენას. ამის გამო ხშირად ჭეშმარიტ ღირებულებას სათანადოდ ვეღარ აღვიქვამთ. „ისე კი ნუ განვსჯით, როგორც გეჩვენებათ, არამედ მართალი მსჯავრით განსაჯეთ“, გვასწავლის წმინდა წერილი.

დასადგენია, თუ რა დროიდან გახდა „ლემი“ ფუსტის რაინდთა საწინამძღვრო ბავრაცი (დროშა)? როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ფუ(ს)ტობის ტრადიციას ძალიან ძველი ფესვები აქვს. ის თითქმის რელიგიის დაბადებასთან ერთად გაჩენილი ჩანს. ის თავის ფუნქციას ქრისტიანობის დამკვიდრებამდე დიდი ხნით ადრე ასრულებდა. (მაგალითად, რას აკეთებდა ის არგონავტების ეპოქაში, ამასაც ზემოთ შევეხეთ). ივანე ჯავახიშვილი ქართველების წინაპრებს წარმართობიდანვე ერთიანი რელიგიური მრწამსის მატარებელ ხალხად მიიჩნევდა. ბუნებრივია, ერთიანი წარმართული მრწამსის მქონე ქართველებშიც, არსებობდა საკულტო ტაძრების მტრისგან დაცვის აუცილებლობა, რასაც როგორც ტავრების ისტორიიდან დავინახეთ, კიდევაც ასრულებდნენ ფუსტის რაინდები. აქ იბადება მეორე კითხვაც: რა დროიდან იწყება ფუსტელთა ქრისტიანული ღვაწლი და როდის შეწყდა მათ მიერ წარმართული ტაძრების დაცვა? ე.ი. გვიანტერესებს, როდის გახდა და როდიდან დაფუძნდა ქრისტიანული საწინამძღვრო ბავრაცი (დროშა) „ლემი“? ასევე გასარკვევია, რა ემბლემა, ანუ დროშა, ჰქონდათ ფუსტელ რაინდებს ქრისტიანობამდე? ამ რთულ კითხვებზე პასუხი ისევ სვანეთის სინამდვილეში უნდა ვიპოვოთ. ცნობილია მეორე სვანური დროშა, ლურჯი ფერის, რომელზეც მწვანე მთების

ფონზე თეთრი დათვია გამოსახული. ეს სვანეთში ქრისტიანობამდე არსებული ფუსტელთა დროშა უნდა იყოს. თეთრი დათვი მთვარის წარმართული ღვთაების, სუვენის – სინის, ტოტემა ჩანს. დათვი რომ მთვარის ტოტემაა, ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის, რომ სვანურში და მეგრულში დათვი მთვარე და ორშაბათი, რომელიც მთვარის დღედ ითვლება, საერთო ფუძის მქონე სიტყვებით გამოითქმის. სვანურად: დათვი – დაშოვ, მთვარე – დოშო, ორშაბათი – დოშოთიშ; მეგრულად: დათვი – თუნთი, მთვარე – თუთა, ორშაბათი – თუთაშხა. ასე რომ, ფუსტელთა წინარე ქრისტიანულ დროშაზე ჩვენ გვაქვს მთვარის წარმართული კულტის სიმბოლიკა, რომლის დამაჯერებელ არსებობასაც წარმართულ სამყაროში ხაზს უსვამს ივანე ჯავახიშვილიც (ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I., 1960წ., გვ.50-52). თუმცა მომავლის საქმეა იმის გარკვევა, როდის მოხდა მთვარის ღვთაების, სუვენის, მზის ღვთაებაზე წინ დაყენება, რადგან როგორც ზემოთ არვნიშნეთ, არგონავტების ეპოქაში უპირატესი მზის კულტია.



სურ 20. წარმართ ფუსტელთა საწინამძღვრო ბავრაცი „დაშოვ“.

რაც შეეხება ქრისტიანობას, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა მას I საუკუნიდან იცნობს წმინდა ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის წყალობით. („გეორგია“, ტ.IV, თბ., 1941წ., გვ.38,57), მაგრამ გასარკვევია, როდის მოხდა ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარება ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ მხარეში, საქართველოში ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობამ ძირეულად გარდაქმნა და განამტკიცა საერო და სასულიერო სტრუქტურები. ამ დიდმა რეფორმატორმა მეფემ შექმნა დამოუკიდებელი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურა, დააარსა საეპისკოპოსოები. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, დადგებოდა იმ დროისათვის ყველაზე უფრო სტრატეგიული ობიექტების, ქრისტიანული ტაძრების სამხედრო დაცვის საკითხიც. საფიქრებელია, რომ სწორედ ვახტანგ გორგასლის დროს უნდა მომხდარიყო ფუსტელთა ძველი წარმართული დროშის ჩანაცვლება ქრისტიანული „ლემით“. იმ ეპოქის ზოგიერთ ტაძარში დღემდე შემონახულია დათვის გამოსახულებიანი სიმბოლიკა ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ მხარეში, მაგალითად, ზემო კრიხის ეკლესიის კანკელზე და რაჭის აგარის წმ. გიორგის ეკლესიის ტრაპეზის ქვის საყრდენზე. მძლავრი სახელმწიფო და რელიგიური რეფორმების წყალობით წარმართ ფუსტელთა ფუნქცია შეიცვალა ქრისტიან ფუსტელთა ფუნქციით, რასაც თან სდევს ფუსტელთა საწინამძღვრო დროშის შეცვლაც. მთავრის წარმართ თაყვანისმცემელთა დროშას ენაცვლება ქრისტიანული სიმბოლიკით დატვირთული „ლემის“ დროშა. ამგვარად, ქრისტესი და იერუსალიმის სიმბოლო – ლომი, ხდება ფუსტელ რაინდთა დროშა. შესაძლოა, ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ მხარეში ქრისტიანობა ოფიციალური რელიგია ყოფილიყო უფრო ადრეც, მაგალითად, წმინდა ნინოს შემოსვლამდე. ვინაიდან, მთელს დასავლეთ საქართველოში, სოფელ სხვაგაში, სადაც მღებარეობს ისტორიული ფუსტასციხე ანუ მომდევნო ხნის კვარაცხე არსებობს წმინდა ნინოს

ტადრის ნაშთები. მაგრამ მაინც ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ძირითადი რეფორმები ქრისტიანულ ცხოვრებაში მაინც ვახტანგ გორგასლის დროს მოხდა.

ფუსტელთა თეოგეოგრაფიული რეგიონი, რომელიც დასავლეთ საქართველოს დიდი კავკასიონის მთიანეთს მოიცავს, ისტორიულად ყოველთვის სვანებით დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენდა. ეს რეგიონი წარმართობიდან მოყოლებული და შემდგომ ქრისტიანობის ეპოქაში წამყვან ფუნქციას ასრულებდა რელიგიური ობიექტების დაცვაში. ერთიანი ქართული სახელმწიფოს პერიოდიდან საგულისხმოა ერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც შეისწავლა და გამოამზეურა მეცნიერმა, ისტორიკოსმა, პროფესორმა გერონტი გასვიანმა. არსებობს ძველი საბუთი, რომლის მიხედვითაც დროშა „ლემის“ მეპატრონედ, ანუ „მელომედ“, დასახლებულია ბენდან ვახტანგიანი. როგორც ამ საბუთით ირკვევა, მას „მელომედ“ არჩევა საგვარეულო მემკვიდრეობით ჰრგებია. გვარი ვახტანგიანის გენეზისს უდავოდ მივყავართ ვახტანგ გორგასალთან. ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშას „ვახტანგიანს“ და „გორგასლიანს“ უწოდებენ. საგულისხმოა ვახტანგ გორგასალზე ხალხში დღემდე შემონახული თქმულება:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან შემოესმა რეკა,
მყინვარწვევრზე ფეხი შედგა,
იალბუზმა იწყო დრეკა“.

მთათა მომდრეკ მეფეს, ქრისტიანული ავტოკეფალური ეკლესიის დამფუძნებელსა და ეკლესიური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდ რეფორმატორს უნდა უკავშირდებოდეს ფუსტის წარმართული სამხედრო ორდენის ქრისტიანულ პოზიციაზე გადაყვანა. სწორედ მის დროს უნდა მომხდარიყო დათვის გამოსახულებიანი წარმართული დროშის

„ლემის“ ქრისტიანული დროშით შეცვლა. ამასვე ამტკიცებს პროფესორ გერონტი გასვიანის გამოკვლევებიც, რომელთა თანახმად, „მელომეობა“, ანუ „ლემის“ მედროშეობა, სვანური დოკუმენტური წყაროებით, ვახტანგთან გვარის მემკვიდრეობითი კუთვნილება ყოფილა. ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდს უნდა დავეუკავშიროთ ფუსტის, ანუ სამება-სულიწმინდის მოფენის, მართლმადიდებლური ტაძრების აშენება, ძველი წარმართული უმაღლესი ღვთაების – ფუსტის (მზის) ტაძრების ფუძეზე. ე.ი. ფუსტობის წარმართულიდან ქრისტიანულ ფუნქციაზე გადასვლის პერიოდად უნდა მივიჩნიოთ V საუკუნის მეორე ნახევარი, მეფე ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანა. მით უმეტეს, რომ ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღწერაში აღნიშნულია მისი ძღვევამოსილი ლაშქრობა დასავლეთ საქართველოშიც და ყველა ციხის დაპყრობა. ჯუანშერის მიერ ვახტანგის ხელქვეით ერისთავთა ჩამოთვლისას ეგრისის გარდა დასახელებული არიან ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ კუთხეში შემავალი სვანეთისა და თაკვერის (რაჭა-ლეჩხუმის) ერისთავებიც. ამის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ვახტანგ გორგასალს მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული დასავლეთ საქართველოს მთიანეთშიც და მისი საეკლესიო თუ სახელმწიფო რეფორმები ამ მხარეშიც ისევე მტკიცედ გატარდებოდა, როგორც ყველგან.

**ფუსტელთა სამხედრო-ორბანიზაციული
ნისტმის მოზლა მართიანი ქართული სა-
ხელმწიფოს დარღვივის გამო – 1503 წლის
იმერთა მეფის ალექსანდრე II
„სასისხლო სიგელი“**

„დიდ არიან საქმენი ღმრთისანი, გამოსაძიებელ
არიან ყოველსა შინა ნებანი მისნი.“

/ფსალმუნი დავითისა 110–2/

ფუსტების კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია ერთი ისტორიული საბუთი, ეს არის იმერთა მეფის ალექსანდრე II 1503 წლის სიგელი.

ქართული ისტორიოგრაფია ამ საბუთს იცნობს მეორე სახელითაც „სვანთა და ფეოდალ ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი“. ეს საბუთი მარი ბროსეს აღმოჩენილად ითვლება და შემდეგ გარემოებებს ასახავს: რაჭის ფეოდალებს ჯაფარიძეებს, მკაცრ ბლოკადაში მოუქცევიათ სვანები, რასაც სვანებსა და ჯაფარიძეებს შორის დაუსრულებელი შფოთი და სისხლის ღვრა გამოუწვევია. ამას მოჰყოლია ჯაფარიძეთა მკვლელობაც. (ს.კაკაბაძე, „სვანები XV საუკუნეში“. „აღწერილობანი და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“ წიგნი I, 1914 წ., გვ. 126-131). მეცნიერთა ნაწილმა ეს შემთხვევა შეცდომით დაუკავშირა საქართველოს მეფეს ალექსანდრე დიდს. ამის გამო, ამ სიგელის გაცემის თარიღად დიდხანს მცდარად 1432 წელი მიაჩნდათ. ეს შეცდომა შემდგომ ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა და დაადგინა, რომ ეს საბუთი უკავშირდება იმერთა მეფეს ალექსანდრე II, რომელიც 1484-1510 წლებში მეფობდა. ამასთან საბუთის გაცემის თარიღიც დაზუსტდა და 1503 წლით დათარიღდა. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ ალექსანდრეს სამეფო კარის შუამდგომლობით სვანებს ჯაფარიძეთათვის სისხლის საფასურად გადაუციათ ცხენისწყლის ხეობის ზემო წელის ტერიტორია (ლაშხეთი) და რიონის ზემო წელის ტერიტორია, რომელიც მოიცავს დღევანდელი რაჭის სოფლებს ღებს, ჭიორასა და გლოლას.



სურ 21. ასეთი ტიპის ციხე-სახლს რაჭაში დუროიანი სახლი ეწოდება. 1930-იან წლებში სოფ. ღებში ასეთი ტიპის 50-მდე ნაგებობა აღრიცხა ცნობილმა ეთნოგრაფმა სერგი მაკალათიამ.

სამწუხაროდ, დღემდე ამ ტრაგიკული მოვლენის მეცნიერული კვლევისას, არ ითვალისწინებენ იმდროინდელ საგარეო მოვლენებს, რის შედეგადაც ამ ისტორიული მოვლენის შესახებ მცდარი დასკვნებია გამოტანილი. ამ გარემოებამ დამანგრეველად იმოქმედა ფუსტელთა მრვალ-ათასწლოვან სამხედრო-ორგანიზაციულ და სახელმწიფოებრივ სისტემაზე. დღემდე უცნობი ამ უნიკალური სამხედრო-სარწმუნოებრივი კულტურული მემკვიდრეობის სრულყოფილად შესწავლისათვის საჭიროა ობიექტური საღვთისმეტყველო და მეცნიერული გამოკვლევა. ორასწლოვანი სულიერი გენოციდის შედეგების აღმოფხვრა დღევანდელი დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის სასიცოცხლო ინტერესებს წარმოადგენს. ამიტომ პირუთვნელი ისტორია უნდა გახდეს სწორი გზის მაჩვენებელი ყოველი მოვლენის ახსნის დროს.

ამ ისტორიის დოკუმენტის გაანალიზებისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებები, რომლებშიც აღმოჩნდა საქართველო XV საუკუნეში. ამ პერიოდში დაემხო ბიზანტიის იმპერია, აღმოჩენილ იქნა ამერიკა, რამაც ევროპას ინტერესი დაუკარგა აღმოსავლეთის მიმართ. აღმოსავლეთ ქრისტიანობის უკიდურესი ბასტიონი – საქართველო, მართლმდარტო დარჩა მაჰმადიანურ გარემოცვაში. XV საუკუნეში მძლავრი გარეშე ძალების გავლენით სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მაჰმადიანური გარემოცვის მტკიცე ალყაში აღმოჩნდა: სამხრეთიდან ირანი და თურქეთი, ჩრდილოეთიდან მათი მოკავშირეები საშამხლო და ყირიმის სახანო. შავ ზღვას ერთპიროვნულად აკონტროლებდა თურქეთი. ყოველივე ამან საქართველოს ევროპასთან ყოველგვარი კავშირის საშუალება მოუსპო. გარე სამყაროსგან იზოლაციაში მყოფი საქართველოს ერთადერთ იმედს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთში ყაბარდო ანუ ჩერქეზეთი წარმოადგენდა, რომელიც დასავლეთიდან ყირიმის სახანოს, ხოლო აღმოსავლეთიდან საშამხლოს მარწუხებში იყო მოქცეული. საერთო მტრის გარემოცვაში მყოფი ქართველი და ყაბარდოელი ხელისუფალნი გამოსავალს ამ დროისთვის საკმაოდ მომძლავრებულ რუსეთის სახელმწიფოში ხედავდნენ. რუსეთის გაძლიერებული სახელმწიფო ამ პერიოდში თერგზე ციხეს აგებს და ყაბარდოს უშუალო მოსაზღვრე ხდება. ალყაში მყოფ საქართველოს უჩნდება მისი გარღვევის შანსი ყაბარდოს გავლით. ყაბარდო პირველი იყო კავკასიელი ხალხებიდან, ვინც იმ ეპოქაში რუსეთთან შეერთების აქტი გააფორმა. საქართველოს დაქუცმაცებული სამეფო-სამთავროების ხელისუფალნი აქტიურ კავშირს ამყარებენ ყაბარდოსთან, როგორც გარე სამყაროსთან კავშირის ერთადერთ საშუალებასთან. ყაბარდოს ანუ ჩერქეზეთის უშუალო ქართულმა მეზობელმა, სვანეთმა, უადრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფუნქცია შეიძინა. როგორც 1503 წლის „სასისხლო სიგელიდანაც“ კარგად ჩანს, სვანები მჭიდრო ურთიერთობაში არიან კახეთის სამეფოსთან. (ს. მაკალათია, „მთის რაჭა“, თბ., 1978წ.) დაქუცმაცებული საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის კახეთის სამეფო ყველაზე დაწინაურებული იყო როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად. კახეთის სამეფო

პირველი იყო საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის, რომელმაც ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა რუსეთის სახელმწიფოსთან. 1483 წელს მოსკოვში ჩავიდა კახეთის მეფის ალექსანდრე I ელჩობა, რომელშიც შედიოდნენ ნარიმანი, ღამიანი და შაქელი ხოზემარუმი. 1492 წელს მოსკოვს ეწვია კახეთის სამეფოს მეორე ელჩობა. XVI საუკუნეში კახეთსა და საშამხლოს შორის არსებულმა დაძაბულმა ვითარებამ კახეთის მეფე ლევანი აიძულა დაკავშირებოდა შამხალის მოწინააღმდეგე ყაბარდოს, ანუ ჩერქეზეთს. ურთიერთობის გასამტკიცებლად მან ცოლად მოიყვანა ყაბარდოს მთავრის ქალიშვილი. XVI საუკუნეში მან აღადგინა პოლიტიკური კავშირები რუსეთთან. კახეთის განაპირა ციხეებში ჩაყენებულ იქნა რუს მეთოფეთა რაზმები, მაგრამ ირანისა და ოსმალეთის ზეწოლით ეს ჯარი 1572 წელს რუსეთმა უკან გაიწვია. საშამხლოსთან გამწვავებული ურთიერთობის გამო კახეთს გზა გადაეკეტა თერგისა და ასტრახანის მიმართულებით. 1585 წელს კახეთში ჩამოვიდა რუსეთის ელჩი რუსინ დანილოვი. საპასუხოდ კახეთიდან გაიგზავნა ელჩობა იოაკიმე მღვდლის მეთაურობით, რომელიც კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღებას ითხოვდა. ამას მოჰყვა რუსთა ელჩობის ჩამოსვლა როდონ ბირკინის მეთაურობით. 1587 წლის 28 სექტემბერს ხელი მოეწერა „ფიცის წიგნს“, რომლითაც კახეთის სამეფომ რუსეთის ქვეშევრდომად აღიარა თავი, ხოლო რუსეთმა იკისრა კახეთის დაცვა ყველა გარეშე მტრისაგან. ამ ფაქტმა უფრო გააძლიერა ირან-ოსმალეთისა და მათი მოკავშირე ჩრდილოეთ კავკასიელების სააღყო მარწუხები საქართველოზე. ასეთ ვითარებაში გასაგებია, რა მნიშვნელობა მიენიჭა ყაბარდოსა და მის მოსაზღვრე სვანეთს გარე სამყაროსთან ურთიერთობაში. საქართველოს ყველა სამეფო-სამთავრო ცდილობდა იმერეთის სამეფოს კუთვნილ ყაბარდოში გადასასვლელ ამ კარიბჭეზე თავისი გავლენის მოპოვებას. როგორც ამ სიგელიდან ირკვევა, სვანეთს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა კახეთის სამეფოსთან ჰქონდა. რამაც იმერეთის სამეფო კარის სავსებით სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. თავისუფალი სვანეთი იმერეთის სამეფო კარის ინტერესების გაუთვალისწინებლად,

იყენებდა შექმნილ მდგომარეობას, რაც 1503 წლის „სასისხლო სიგელიდანაც“ ნათლად გამოსჭვივის, რომელშიც აღწერილია სვანეთსა და კახეთს შორის მჭიდრო ურთიერთობა. ეს დიპლომატიური შეცდომა იყო, რომელმაც საბოლოოდ გაამწვავა ურთიერთობა თავისუფალ სვანეთსა და იმერეთის კარს შორის.

იმერეთის მეფე ალექსანდრე II რომლის სამეფოშიც შედიოდა სვანეთი, თავის უერთგულეს და უპირველეს მოხელეებს, რაჭა-ლეჩხუმის ფეოდალებს ჯაფარიძეებს, ფარულად უჭერდა მხარს სვანთა ბლოკადაში. ამ დაპირისპირების მთავარ მიზეზად დღემდე მცდარად მიჩნეულია ჯაფარიძეთა ფეოდალურ-ტერიტორიული ამბიციები. გავიხსენოთ ნუგზარ არაგვის ერისთავის ისტორია. მეფე თეიმურაზმა თავის სიძეს სიცოცხლის ფასად დაუსვა ფშავ-ხევსურეთის დაპატრონების სურვილი. ალექსანდრე მეფის უერთგულესი ვაზირები, ჯაფარიძეები, ამ აქციას მისივე ფარული მხარდაჭერით ახორციელებდნენ. ბუნებრივია, მეფე ალექსანდრე უკმაყოფილო იქნებოდა, რომ მისი სამეფოს ქვეშევრდომნი, სვანები, მას ანგარიშს არ უწევდნენ და მისგან დამოუკიდებლად ურთიერთობას ამყარებდნენ სხვა სამეფო-სამთავროსთან, ანუ მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა მისი ქვეშევრდომი, საქართველოს გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი და უმთავრესი საგზაო არტერია, რომელიც რიონ-ცხენისწყლის სათავეებსა და კავკასიონის ქედის გადასასვლელებს მოიცავდა. ამ გარემოებით უნდა აიხსნას კონფლიქტის წარმოშობის უმთავრესი მიზეზი. ალექსანდრე მეფე, ამ შვიდწლიანი კონფლიქტის ფარული თანამზრახველი, თვითონვე გვევლინება მთავარ მოსამართლე-მომრიგებლად და საქმესაც ისე წარმართავს, როგორც საკუთარი ინტერესები კარნახობს. ამ მოვლენის გაშუქებას მეორე შეცდომაც ახლავს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მოსახლეობა, რომელიც იქ სახლობდა 1503 წლის „სასისხლო სიგელის“ დადების შემდეგ აიყარა და სვანეთში გადასახლდა, რაც ზერელე მეცნიერული კვლევით გამოწვეული უზუსტობაა ან განზრახ სიცრუე, რომლის მიზანია ფუსტელთა უძველესი სამხედრო-სარწმუნოებრივი კულტურის დაფარვა-ტაბუირება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ყოველივე ეროვნულ

სახელმწიფოებრივი სულის, არაკეთილმოსურნე ფარულ ძალთა ინტერესებში უნდა ყოფილიყო, რადგან ამ ისტორიული პროცესების სწორი მეცნიერული ინტერპრეტაციისთვის საჭირო მასალები რთული მისაკვლევია არ იყო. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ სვანეთში ამ დროს მიწაზე კერძო საკუთრების განვითარების გამო თავისუფალი მიწები აღარ იყო (გ. ჯალაბაძე, „მემინდვრეობა სვანეთში“, თბ., 1970წ.). ასეთ ვითარებაში მიუღებელია იმის მტკიცება, რომ სვანეთი ასეთი დიდი რაოდენობის დამატებით მოსახლეობას შეიკედლებდა რიონ-ცხენისწყლის ზემო წელიდან. გარდა ამისა, „სასისხლო სიგელის“ თანახმად, ეს მოსახლეობა ჯაფარიძეთა ხელში გადადიოდა, ასე რომ მათი იქიდან თვითნებური აყრა და უმიწაწყლო ლტოლვილობაში გადასახლება გამორიცხვულად უნდა ჩაითვალოს. ამას არ დაუშვებდა არა მარტო იმდროინდელი ფეოდალური, არამედ სახალხო სამართალიც კი. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადასასვლელების მყარად შემოქმედების მიზნით იმერეთის სამეფო კარი ამ ტერიტორიებიდან, როგორც ჩანს, დეპორტაციას უკეთებს ადგილობრივ სვანურ მოსახლეობას ქვემო რაჭაში და ლეჩხუმში და მათ მაგივრად ასახლებს თავის ერთგულ, უფრო საიმედო მოსახლეობას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XV საუკუნეში საქართველომ დაკარგა ტერიტორიის ერთი მესამედი სამხრეთ საქართველოს სახით, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის და კულტურის ფუნდამენტური კერა იყო. ეს ტერიტორია თურქთა ხელში გადავიდა. იქიდან ლტოლვილი ქართული მოსახლეობა მოაწყდა საქართველოს შიგა რეგიონებს და მათ შორის რაჭა-ლეჩხუმსაც. ასეთ პირობებში იმერეთის სამეფო კარის, რიონ-ცხენისწყლის ხეობაში შესასახლებელი ერთგული მოსახლეობის პრობლემა, თავისთავად ცხადია, არ ექნებოდა. საინტერესოა, რომ იმერეთის სამეფოში შემავალი თავისუფალი სვანეთის ტერიტორია გარკვეულ პერიოდში ნიქოზის საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა. რამ გამოიწვია გელათის საკათალიკოსო ტახტის იურისდიქციის შეჭრა მცხეთის საკათალიკოსოში? ერთი რამ ცხადია, იქ მოხვდა ლტოლვილი ან სხვა მოსახლეობა, რომელიც მცხეთის საკათალიკოსოს სამწყსო იყო. გარდა ამისა, როგორც

დავინახეთ, ქართლ-კახეთის მეფეთა ინტერესებშიც შედის გარე სამყაროსთან ერთადერთ დამაკავშირებელ ტერიტორიაზე გავლენის მოპოვება. როგორც ჩანს, ისინიც ცდილობდნენ იქ ფეხის მოკიდებას, რასაც ასაბუთებს 1503 წლის სიგელში ისეთი აზნაურიშვილების მოხსენება თავიანთი მრავალრიცხოვანი ყმებით, როგორებიც არიან ზოხაგიძე, არეშიძე, გაგაშვილი და სხვ. სვანების დიპლომატიურმა შეცდომამ, სხვა სამეფო-სამთავროთა მცდელობამ, თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ იმერეთის სამეფოში შეძვალა თავისუფალი სვანეთის სტრატეგიული მნიშვნელობის კარიბჭის ტერიტორია, იმერეთის სამეფო კარი, სავსებით ლოგიკურად, იძულებული გახდა, მოემოქმედებინა ის, რაც კარგად არის ასახული 1503 წლის იმერთა მეფის ალექსანდრე II მიერ გაცემულ “სვანთა და ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელში” ასახული. XV საუკუნეში საერთო ქართული სახელმწიფოს დაშლამ გააძლიერა ფეოდალური შიდა დაპირისპირებანი, რასაც ეწირებოდა საერთო ქართული სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები. მეფე მთავართა სეპარატისტულ-ფეოდალური ამბიციები უღმობლად ანგრევდა საერთო სახელმწიფოებრიობის არსებობისათვის საჭირო ეროვნულ ღირებულებებს. რთული საგარეო პირობებით გამოწვეულმა შიდა სოციალურ-პოლიტიკურმა რღვევამ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველი ფუსტობის სამხედრო-სარწმუნოებრივ მრავალსაუკუნოვან ორგანიზაციულ სისტემას შეუტია და მოშალა. XV საუკუნიდან ფუსტის საიდუმლო სამხედრო-ორგანიზაციული სისტემა, რომელიც საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მდებარე ეკლესია-მონასტრების დამცველი იყო, ამ ფუნქციას ეთიშება. ამ ტრადიციის ცენტრში მდგომი სვანეთი არა მარტო კარგავს ამ სახელმწიფოებრივ-საეკლესიო ფუნქციას, არამედ ექსპანსიის მსხვერპლიც ხდება, რითაც მნიშვნელოვნად ზარალდება ფუსტობის მრავალათასწლოვანი ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობა. ამ პერიოდიდან შეინიშნება ცალკეულ სამეფო-სამთავროებში ავტონომიური ფუსტობას მიმსგავსებული სისტემების შექმნის მცდელობა, რაც თავისი წინამორბედის აჩრდილსაც არ წარმოადგენენ. ამ ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა ის, რომ სვანურმა ყოფამ დღემდე მოიტანა ფუსტობის

შინაარსი, მაგრამ მისი დანიშნულება მეხსიერებაში თანდათან შესუსტდა. სამაგიეროდ რაჭაში, სოფელმა ფუტიეთმა, რომელიც ამ ტრადიციის ერთ-ერთი მთავარი ფორპოსტი იყო, ეთნოგრაფიულ მეხსიერებაში მკაფიოდ შემონახა ფუსტობის დანიშნულება, მაგრამ მიივიწყა შინაარსი. ამ მნიშვნელოვანი ეროვნული და კულტურული ღირებულებების სრულყოფილად აღდგენა სწორედ ფუტიეთისა და სვანეთის საღვთისმეტყველო ეთნოგრაფიული სინთეზით ხდება შესაძლებელი. ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერისა და ზოგადად ხალხთა კონსოლიდაციისათვის წარსულის კულტურული მემკვიდრეობის სწორ გაცნობიერებას. 1503 წლის „სასისხლო სიგელის“ დადების შემდგომ სადავო ტერიტორიიდან დეპორტირებული გიორგობიანების გვარის მოხვედრამ სოფელ ფუტიეთში განაპირობა ის, რომ ფუსტობის დანიშნულების მახსოვრობა რაჭაში უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე, ვთქვათ, სვანეთში. გელათის მონასტრის 1578 წლის ერთი საბუთი, რომელიც საკათალიკოსო ღირსების მქონე საეკლესიო სოფელ ფუტიეთს ეხება, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ფუსტელთა ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენების გასარკვევად, რომლებიც განვითარდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდგომ. ვინაიდან ეს ორდენი „გრაალის მცველთა“ სამხედრო-სარწმუნოებრივი საილუმლო ორგანიზაცია იყო, მასზე დოკუმენტური წერილობითი წყაროები არც შეიძლებოდა შექმნილიყო. ამ მოვლენის კვლევისას გვმართებს ღრმად დაკვირვება, ისტორიულ წყაროებში ასახული მოვლენის ნამდვილი, დაფარული შინაარსის ამოსაცნობად. ამის ნიმუშებს წარმოადგენს 1503 და 1578 წლების ზემოთ ხსენებული ორი საბუთი.

მეცნიერული გამოძიება იმისა, თუ რა ბედი ეწია რიონ-ცხენისწყლის ზემო წელის მოსახლეობას „სასისხლო სიგელის“ გაფორმების შემდგომ, უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული სულიერი კულტურის შედევრის, ფუსტობის, სრულყოფილი შესწავლისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ სვანეთი ყოველთვის წარმოადგენდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს სულიერი კულტურის ზესაილუმლო საცავს, ამ ფუნქციის მოშლით ეროვნულ მეხსიერებას გარკვეულწილად წაერთვა შესაძლებლობა, სრული

წარმოდგენა იქონიოს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ისტორიაზე. ცნობილმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა სოფელ ღების მაცხოვრის ეკლესიის ჯვარცმის ერთ-ერთ ჭედურ ხატზე, რომელიც მიხეილ ბოჭორიძემ მოგვიანებით ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა, წაიკითხა: „ქრისტე მოგვიჭედინებია ჩვენ გიორგობიანებსა დაეგრესა, კილსა და ნიკოლსა, სამუნოსა, ცხაზოსა, სექოსა დღეგრძელობით ვნებითა. ამინ უფალო.“ ხოლო ხატის შუა ადგილზე ექვთიმემ წაიკითხა შემდეგი: „მაცხოვარო გაუმარჯვე ღების ხეესა. ამინ. უფალო ღმერთო და მაცხოვარო, გაუმარჯვე გიორგისა, დავითსა და შიოშსა; ამინ. უფალო ღმერთო.“ ხატი თარიღდება არა უგვიანეს XV საუკუნისა (ე. თაყაიშვილი, 'რაჭაში არქეოლოგიური მოგზაურობა', 1919-1920წ.წ., გვ.15), რაც წინ უსწრებს სვანთა და ჯაფარიძეთა 1503 წლის სიგელს. ამ ხატზე ჩამოთვლილ სახელებში მოხსენებული არიან მიქაელის და შიოს ჩამომავლები. 1990 წლის 3 ივნისს ქართულმა საზოგადოებამ, რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში პირველად ფართოდ აღნიშნა გმირული საეკლესიო აჯანყების 170 წლისთავი, რომელიც ფართოდ გაშუქდა საინფორმაციო საშუალებებით. ამ დროს გიორგობიანების ზემოთ აღნიშნული საგვარეულო ხატის ასლი მობრძანებულ იქნა სოფელ ფუტიეთში. ამჟამად ეს ხატი დაცულია ფუსტელთა სკოლა-მუზეუმში. ამ ხატთან ერთად მაღლიერმა გვარმა მხატვარ ირინა რაზმაძის მიერ შესრულებული ექვთიმე თაყაიშვილის ხატიც მიუძღვნა სოფელ ფუტიეთის სამება-სულიწმინდის, ანუ ფუსტობის, დღესასწაულს. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ექვთიმე ღვთისკაცი წმინდანად შერაცხული. ირინა რაზმაძის ჯერ კიდევ 1990 წელს დაწერილი ხატი პირველია სადაც ექვთიმე ღვთისკაცი წმინდანად გამოისახა. მხატვარმა წმინდა ექვთიმე ამ ხატზე გამოსახა ძველი კომპებით დამშვენებული ღების ფონზე. გიორგობიანების საგვარეულოს ეს უწმინდესი რელიქვია, ჯვარცმის ხატი, წმ. ექვთიმე ღვთისკაცის ხატი, ფასდაუდებელია არა მარტო იმიტომ, რომ იგი გვარის სიწმინდეა, არამედ იმიტაც, რომ ჩვენ ნათელი წარმოდგენა გვექმნება ფუსტელთა სულიერ კულტურულ მემკვიდრეობაზე. ამ ხატების ასლის მიღება, რომელიც დაწერა

1990 წელს, შეუძლია ყველა მსურველს სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმისაგან და წიგნის ავტორისაგან. რა ზიანი მოუტანა ფეოდალური სეპარატიზმით გამოწვეულმა ნგრევამ, რომელიც ასახულია 1503 წლის ალექსანდრე მეფის სიგელში, ფუსტის სამხედრო, სახელმწიფოებრივ, ეროვნულ ტრადიციას, იმით ვიგრძნობთ, რომ 1819-1820 წ.წ. საეკლესიო აჯანყების დროს ისტორიული სვანეთის ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ლების, ჭიორისა და გლოლის მოსახლეობამ კატეგორიული უარი თქვა რუსების წინააღმდეგ გამოსვლაზე. (ნ. მახარაძე, „1819-1820წ.წ. იმერეთის აჯანყება“. რუსულ ენაზე 1942წ. გვ.81.) ეს იმის მომასწავებელია, რომ ფეოდალური სეპარატიზმით გამოწვეულმა შუღლმა ისტორიული სვანეთის რეგიონში 1503 წლის „სასისხლო სიგელის“ გაფორმების შემდეგ ძირფესვიანად ამოძირკვა ფუსტობის სამხედრო-სარწმუნოებრივი ცნობიერება.

ამგვარად ირკვევა, რომ გიორგობიანები, იმდროინდელი ლების ძირითადი გვარი, რომლებიც თავიანთ სალოცავს ავედრებდნენ თავის სამკვიდრო ლების ხევის გამარჯვებას, ზემოთ ნახსენებ 1578 წლით დათარიღებულ საბუთში, მოხსენებული არიან როგორც ფუტიეთში გადმოსახლებული, გადმოხვეწილი, უცხოებაში მყოფნი. („ქართული სამართლის ძეგლები“, ი. დოლიძე. 1870, თბ. ტ.III გვ.309) ამ საბუთით დასტურდება, რომ 1503 წლის სიგელის გაცემის შემდგომ რიონ-ცხენისწყლის ზემო წელიდან მართლაც მომხდარა მოსახლეობის დეპორტირება ამ ტერიტორიის საიმედოდ შემომტკიცების მიზნით. ამ ვერსიის სისწორეს ასაბუთებს ხალხური თქმულებებიც. 1930 წელს 90 წლის ლებელი მარკოზ გობეჯიშვილისაგან ფოლკლორისტებმა ასეთი ცნობა ჩაიწერეს: „სვანეთის მთავარმა დადეშქელიანმა გოგრიჭი და გიორგი მისცა სისხლში, ლებელებო ის არ გვეკონოსყე, რომ თქვენ იყოს აქაობაო“ (შ. ძიძიგური. „ქართული დიალექტოლოგიური მასალები“, თბ., 1974წ., გვ.191) ამასვე ადასტურებს ეგნატე გაბლიანიც: „ვინმე გიორგი სვანმა ლებიდან მოიტაცა ლების ხევის მთავარი სიწმინდე, დიდი ჯვარი, და სვანეთში გადაიტანა“ (ე. გაბლიანი. „ძველი და ახალი სვანეთი“, თბ., 1921წ.) ამ ცნობის მიხედვით გიორგის ქმედებაში იმის მცდელობა ჩანს, რომ გვარ-ხევის მთავარი საკულტო სიმბოლოს დაბრუნებით ისევ დაიბრუნონ უწინდელი ტერიტორია და ფუსტის

ტრადიციით კუთვნილი ღირსება. გიორგობიანების გვარის მოხსენება რაჭა-ლეჩხუმის წერილობით ძეგლებში XVI საუკუნის დასაწყისიდან იწყება. („პირთა ანოტირებული ლექსიკონი“, 1991წ.,თბ.,თ.I გვ.663-665). რაც უდავოდ ამტკიცებს იმას, რომ 1503 წლის „სასისხლო სიგელის“ გაფორმების შემდეგ მეფე ალექსანდრე II სამოხელეო სამსახურმა განახორციელა მოსახლეობის დეპორტაცია ამ მხრიდან. ამის შემდგომ გიორგობიანები სახლობენ რაჭა-ლეჩხუმის შემდეგ სოფლებში: ბარი, ფუტიეთი, ხიმში, პატარა ონი, თხმორი, ღადიში, გორისუბანი, ლაცორია, ღვირიში, სურმუში, სპათაგორი.

სახელი გიორგობა, ადრეული ქრისტიანული ხანის ხალხურ ყოფაში გავრცელებული უნდა ყოფილიყო. ერთ ძველ საეკლესიო საბუთში მოხსენებულია ვინმე გიორგობა ბახტაძე. გიორგი, როგორც ცნობილია, ბერძნულად მიწათ შემოქმედს ნიშნავს. ამას ეხმიანება სახელი ღები. ასევე ერქვა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ცნობილ წარმართულ მიწის ღვთაებას. ერთი XVIII საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში გვხვდება ვინმე ივანე ღებაძე მანთხოჯის მცხოვრები (ს. კაკაბაძე, „საისტორიო კრებული“, წიგნი I, გვ.39). როგორც ჩანს რელიგიური მსოფლმხედველობის განვითარების რაღაც ეტაპზე მიწათმოქმედის აღმნიშვნელ უძველეს ტერმინს – ღებს ჩაენაცვლა ბერძნული წარმოშობის გიორგობა. ღების ტოპონიმსა და გიორგობიანების გვარის ანთროპოტოპონიმს შორის ასეთი კავშირი, ასაბუთებს იმას, რომ ჩვენი ეროვნული სულიერი კულტურა თავისი საწყისებიდან დღემდე ვითარდებოდა მწყობრი კანონზომიერი აღმავალი ხაზით, სადაც კარგად ჩანს წარმართობიდან უმტკივნეულო გადასვლა ქრისტიანობაში და მისი შემდგომი განვითარება. წარმართული მიწათმოქმედების ღმერთი ღები და ქრისტიანული მიწათმოქმედი გიორგობა ერთი და იმავე არსის მქონე თეონიმებია. რის გამოც ქრისტიანულ ყოფაში დამკვიდრდა ანთროპოტოპონიმი გიორგობა. სვანეთი ამ მხრივ წარმოადგენს ეროვნული საღვთისმეტყველო საგანძურის უნიკალურ საცავს, რომელშიც დღემდე დაცულია ეროვნული სულიერი კულტურის ფასდაუდებელი ინფორმაცია. ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის მიზანია შეისწავლოს და ერის ცნობიერებას დაუბრუნოს ეს სულიერი ცოდნა. ამით შევძლებთ გამოვასწოროთ ერის ორასწლოვანი სულიერი გენოციდის შედეგები.

რიონ-ცხენისწყლის სათავეები საქართველოსათვის მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევისათვის ერთადერთი საშუალება იყო ამ კრიტიკულ დროში. ამ გზით ჩამოდის და ბრუნდება რუსეთის დიდი ელჩობა 1652-1653 წლებში ივლიევისა და ტოლოჩანოვის მეთაურობით; რუსეთში მიდის ვახტანგ VI თავისი მრავალრიცხოვანი ამალით; მიდი-მოდის ბესიკ გაბაშვილი და სხვა ქართულ-რუსული ელჩობა მოსკოვში; გადმოდის რუსეთის ელჩი სოკოლოვი საქართველოში; სოლომონ II ელჩობა რუსეთში; ასე მიდი-მოდის სამეგრელოს მთავრის ელჩობა რუსეთში; ამ გზით ამგზავრებს რუსეთში თეიმურაზ I თავის მცირეწლოვან შვილიშვილს, ერეკლე I, დედითურთ რუსეთის მეფის კარზე აღსაზრდელად. ერეკლე I რუსული დოკუმენტები იცნობს, როგორც დავიდ ნიკალაევიჩს, ხოლო ირანული – როგორც ნაზარალი ხანს. ეს ის პიროვნებაა, ვინც პეტრე I ნამდვილ მამად ითვლება. ამ გზით წააბრძანეს რუსეთის ელჩებმა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები მოსკოვს. ამ გზით ურთიერთობენ კახეთის მეფენი ყაბარღო-ჩერქეზეთთან, ამ გზის საჭიროებამ განაპირობა კახეთისა და სვანეთის მჭიდრო ურთიერთობა იმ პერიოდში.

ეს ფაქტები ნათლად გვიჩვენებს, რომ რაოდენ შეზღუდული უნდა ყოფილიყო ქართული სამეფო-სამთავროების გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი საგზაო-საკომუნიკაციო ქსელი, რადგან ცენტრალური კავკასიონის ყინულოვანი საუღელტეხილო გზები ასეთი მაღალი რანგის დიპლომატიური ურთიერთობებისათვის უვარგისი იყო. კავკასიონის არც ერთი უღელტეხილი 3000 მეტრზე დაბლა არ არის: მაჩხაფარი ანუ შარითაუს გადასასვლელი – 3407 მ, გეზითაუ – 3435 მ, ლეხიციკი – 3463 მ. კარაგომი ანუ გურძიციკი – 3346 მ. ყველა ეს უღელტეხილი ალპინისტურია, ამით ჩვენ სრული წარმოდგენა გვექმნება იმაზე, თუ როგორ ბლოკადაში იყო საქართველო და რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა სვანეთის ამ ტერიტორიამ მოცემულ ისტორიულ პერიოდში. ერთი რამ ფაქტია, რიონ-ცხენისწყლის ზემო წელი იმ დროში გარე სამყაროსთან ერთადერთი დამაკავშირებელი გეოგრაფიული კვანძი ხდება. ქართული სამეფო-სამთავროების დაინტერესებამ სვანეთის საუღელტეხილო გზებით, ბუნებრივია, დაძაბა სვანეთის ურთიერთობა იმერეთის სამეფო კართან, რომელსაც სვანეთი სამართლიანად მიაჩნდა თავისი სამეფოს ნაწილად ან, უფრო სწორად, ამის პრეტენზია ყველაზე

მეტად ჰქონდა. მით უმეტეს თავისუფალ სვანეთზე, რომელიც, როგორც 1503 წლის „სასისხლო სიგელიდანაც“ ჩანს, იმ დროს ენგურის ზემო წელის გარდა რიონ-ცხენისწყლის სათავეებსაც მოიცავდა. ეს ტერიტორია კი იმერეთის სამეფოს იურისდიქციაში შედიოდა ყოველთვის.

არ იქნებოდა ურიგო, თუ გავარკვევდით, რას ნიშნავდა ეს თავისუფლება. დღემდე მისი არსი მცდარად არის ახსნილი ფეოდალური-პატრონყმური თვალსაზრისით. ქართული სულიერი ცხოვრების მოშლის გამო ბევრ ყოფით კულტურულ მოვლენას მცდარი ახსნა მოეძებნა. რამაც საფუძველი დაუდო ქართველი ერის სულიერ გადაგვარებას. ერთი რამ უდავოა, სვანეთი, განსაკუთრებით კი თავისუფალი სვანეთი, ყოველთვის იყო ქართული სულიერი კულტურის ზესაიდუმლო საცავი. როგორც დღემდე მოღწეული ფუსტის სამხედრო-სარწმუნოებრივი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლამ აჩვენა, სტატუსი „თავისუფალი“ ამ მხარეს რელიგიური მოვალეობის გამო უნდა მიეღო ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ხანაში, ვინაიდან, მკაცრად დადგენილი რელიგიური კანონებით, ზეციური მეუფის კუთვნილ ხალხზე მიწიერ მეუფეებს ხელი არ ჰქონდათ. მსგავს დამოკიდებულებას ვხედავთ ბიბლიაშიც: ლევის შთამომავალთათვის მინიჭებულ პრივილეგიებში. ლევიანებსა და ფუ(ს)ტიელებს იდენტური ფუნქციები ჰქონდათ. ამ მოვლენის შესახებ საუბარია ძველ აღთქმაში (გამოსვლა 6-25). ქართულ სინამდვილეში სვანეთის გარდა სხვაგანაც გვხვდება ამ ფაქტის გამოვლინების მაგალითი: I საუკუნის მოგზაურის, სტრაბონის, ცნობით, უბატონო ქიზიცი სატაძრო ანუ უფლის კუთვნილებას წარმოადგენდა. ქიზიცი ეს სტატუსი ქრისტიანობის პერიოდშიც მტკიცედ შერჩა. უფრო მეტიც, ამ სტატუსმა განაპირობა მასზე გადმოსული განსაკუთრებული მადლი: ქიზიციში, სოფელ ბოდბეში წმინდა ნინომ მოღვაწეობის ბოლო წლები გაატარა და სამუდამოდაც განისვენა. 1503 წლის სიგელი ასახავს დეგრადაციის გზაზე დამდგარ დაქუცმაცებულ ფეოდალურ ქართულ სახელმწიფოს, რომელშიც გაფორმდა ფუსტის სამხედრო-სარწმუნოებრივი მოვალეობის გაუქმება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის გამო. რადგან ქართველ მეფე-მთავრებს საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მალლა ფეოდალურ-სეპარატისტული ინტერესები ჰქონდათ დაყენებული. ამან სერიოზულად დააზარალა ფუსტის სამხედრო, ორგანიზაციული და

სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა მათ გადაადგილებას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მდებარე საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსებში. ფუსტელთა გადაადგილებითათვის საჭირო საბაზისო ფორპოსტების ქსელი მოიშალა, თუმცა მათი კვალი დღემდე შეინიშნება იმერეთში – საზანო (ძველი სკანდე), ფუთი-ილემი, ქართლში – წინარეხი, გურიაში – ლომისკარიელის მთა. აჭარაში – ფუტრევი სხალთის მახლობლად, კახეთში – კისისხევი, ილმაჯვარი და სხვა. ამ ობიექტების ნაშთთა მოკვლევა მომავლის საქმეა. მიყენებული ზიანის მიუხედავად კიდევ ერთხელ ამ უძველესმა სამხედრო-ორგანიზაციულმა სისტემამ თავისი მოვალეობა ბრწყინვალედ შეასრულა 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების დროს, როცა ზემო სვანეთში 1820 წლის 3 ივნისის ფუტიეთის ტრაგიკული ბრძოლის შემდეგ გაიხიზნა ქართული ეკლესიის წმინდა განძი.

ამერიკის აღმოჩენამ ევროპის ინტერესები მთლიანად შეაბრუნა დასავლეთისაკენ. ბიზანტიის დაცემამ შეუზღუდავი გახადა მაჰმადიანური ქვეყნების აგრესია საქართველოს მიმართ. დასუსტებული საქართველო XV საუკუნიდან მაჰმადიანური ქვეყნების აგრესიის შედეგად დაქუცმაცდა და ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული მტრულ ალყაში მოექცა. გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ერთადერთ გზად ერთმორწმუნე რუსეთთან მოსახლვრე ყაბარდო ანუ ჩერქეზეთი დაისახა. სვანეთის ყაბარდოში გასასვლელად ქართველ მეფე-მთავართა ინტერესთა სფეროში რიონ-ცხენისწყლის სათავეები ექცევა. იმერეთის სამეფო კარი, ალექსანდრე II ფარული თანადგომით, ჯაფარიძეების მეშვეობით ზღუდავს მის სამეფოში შემავალ სვანეთს. მედიატორის როლში გამოსული მეფე რიონ-ცხენისწყლის სათავეებს ართმევს სვანეთს და ამ სტრატეგიული კარიბჭის ერთხელ და სამუდამოდ შემომტკიცების მიზნით ახდენს სვანთა დეპორტაციას რაჭა-ლეჩხუმში, სანაცვლოდ იქ თავის ერთგულ მოსახლეობას ამკვიდრებს. ასეთია ის ობიექტური ისტორიული წანამძღვრები, რამაც წარმოშვა სვანთა და ჯაფარიძეთა 1503 წლის „სასისხლო სიგელში“ ასახული გარემოებები. რამაც საბოლოო ჯამში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის ფონზე ფუსტის სამხედრო-ორგანიზაციული სისტემის ფუნქციის გაუქმება გამოიწვია, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ.


კოშკური კულტურა-რობორც ფუ(ს)ტიელთა ტიტულის გამონათულება

სვანური მურყვამის (კოშკის) ტიპის ნაგებობების გავრცელების ზონა წარსულში მოიცავდა მთელ ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ არიალს რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს. მას ეზვდებით კავკასიონის გადაღმაც, იქ, სადაც წარსულში ქართველები სახლობდნენ. ამ ტიპის ნაგებობებს დღემდე მხოლოდ თავდაცვითი და საბრძოლო თვალსაზრისით განიხილავენ, ხოლო რაც შეეხება მის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს სულიერ მახასიათებელს, რომელიც ხალხურ ღრმა სარწმუნოერივ შინაარსს შეიცავს, დღემდე თითქმის უცნობია. (ა. ქალდანი, „ცენტრალური კავკასიონის კოშკური კულტურა, თბ., 1990წ.).

კოშკური კულტურის მკვლევართა დასკვნით და ხალხური თქმულებებით, სვანური ტიპის კოშკები ძირითადად XI-XII საუკუნეებშია აშენებული. ეს ეპოქა კი ქართული სახელმწიფოს ძლიერების ზენიტი. ერთიანი, ძლიერი, ცენტრალიზებული ქრისტიანული ქართული სახელმწიფო მტკიცედ იყო დაცული როგორც გარეშე მტრების, ისე შინა აშლილობისაგან. კოშკების ასე მასობრივად აგებას იმ ეპოქაში თავდაცვითი და საბრძოლო შინაარსი თითქმის არ ჰქონდა. კოშკების შენება იმ მომენტში განპირობებული იყო სულიერად ღრმად განვითარებული საზოგადოების ყოფითი მოთხოვნილებითა და ქრისტიანული აზროვნების მაღალი დონით. უპირველესად ჩვენ აქ უნდა დავინახოთ იმდროინდელ ყოფა-ცხოვრებაში ადამიანის სულიერი, ქრისტიანული ინტელექტის აღმავლობა, რომლის მატერიალურ გამოხატულებად იქცა უაღრესად განათლებულ სარწმუნოებრივ საფუძველზე კოშკური კულტურის ყოფაში დანერგვა და განვითარება. გავიხსენოთ სახარება: „კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენახი, და ზღუდე გარე მოსდვა მას, და ჰქმნა მას შინა საწნახელი, და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი მოქმელთა ქვეყნისათა.“

(მათე 21-33). წმ. გაბრიელი (ქიქოძე) ასე განმარტავს კოშკის ანუ გოლოლის არსს: „იგი მოასწავებს ყოველთა მათ ხორციელთა და სულიერთა სიკეთეთა, მშვიდობასა, სიმდიდრესა. რჯულსა, მადლსა, რომლითა ღმერთმან შეზღუდა და შეამკო ქვეყანა (გაბრიელ ეპისკოპოსი ტ.2. გვ.190-191). იმ დროისთვის კოშკი უფლის ერთგულების, უფლის თაყვანისცემის, განდიდების და მისკენ სიყვარულით მისწრაფების სიმბოლოა. აქ უფრო საინტერესოა ის, რომ კოშკის ამენების პატივი და უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც არის ფუსტის ლაშქრის, ანუ უფლის (წმ. სამების) ლაშქრის წევრი, ე.ი. საეკლესიო ობიექტების სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის წევრი, რასაც ფუსტელი ეწოდება. მისი მიმსგავსებული მოვლენა ბერძნულ „იკონომოსში“ იღო. როგორც დიდი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი განმარტავს: „სამონასტრო წესდების თანახმად, იკონომოსი მონასტრის მთელი სამეურნეო ნაწილისა და დაწესებულებათა გამგედ ითვლებოდა.“ თუმცა სახელოვანი მეცნიერი იქვე დასძენს: „გაბმით დალაგებული ცნობები იკონომოსის უფლება-მოვალეობის შესახებ არსად მოგვეპოვება.“ თუმცა არსებული წყაროების საფუძველზე მეცნიერს ერთი საგულისხმო დასკვნა გამოაქვს: „იკონომოსად ბერმონაზვნის დანიშვნა სასტიკად აკრძალული იყო და ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერისკაცების არჩევა შეიძლებოდა.“ (ივ. ჯავახიშვილი თქმულებათა VII ტ. გვ.48-50). ისტორიული, ყოფითი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენში მიღებული ფუსტის ფუნქცია უფრო სამხედრო, დაცვის შინაარსის მატარებელი იყო. როგორც ირკვევა, „იკონომოსი“ ბერძნული ტერმინია და სახლის გამგეს ანუ სახლთუხუცესს ნიშნავს. XV საუკუნის შემდეგ ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაქუცმაცების გამო ფუსტელთა თეოგეოგრაფიული მხარე (რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი) გამოეთიშა ამ საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმეს. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან ცალკეული სამეფო-სამთავროები და ეპარქიები იძულებული ხდებიან, ამ ტრადიციაში ადგილობრივი მოსახლეობა ჩართონ. ამის დამაჯერებელი დასტურია ქართლში, წინარესში (კასპის რ-ნი) პაპუა მალალაძის კოშკი. ეს კოშკი ტიპური სვანური გუბანდის ანუ რაჭული ღუროიანი სახლის ტიპზეა

ნაგები. კოშკის მთავარ ფასადზე, მეორე სართულის დონეზე, ჩასმულია ფირუზისფერი ქვა წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებით. ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ ფასადზე, შედარებით პატარა აგურისფერ ქვაზე გამოსახულია წმ. გიორგი, რომელიც გველეშაპს თრგუნავს. წარწერის მიხედვით, ეს კოშკი სვეტიცხოვლის სახლთუხუცესს, (იკონომოსს) ანუ ფუსტელ რაინდს პაპუა მაღალაიძეს აუგია 1679 წელს („საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“, ტ.5, თბ., 1990წ., გვ. 214-218).



სურ. 22. სვეტიცხოვლის სახლთუხუცესის პაპუა მაღალაიძის კოშკი სოფ. წინარეხში (ქართლი), აგებულია 1679 წელს.

არადა, ერთიანი საქართველოს დროს, როგორც ზევით უკვე ვახსენეთ, სვეტიცხოვლის დაცვის პატივი სვანეთის სოფელ ეცერს ჰქონია, რის შესახებაც ვახუშტი ბაგრატიონი წერს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის

მთავარი იმის დასაბუთებაა რომ სვანური ტიპის კომპკური ნაგებობანი ნამდვილად გამოსატყვევებენ იმ დიდსა და საპასუხისმგებლო პატივს, რომელიც ფუსტელთა სამხედრო-საეკლესიო სამსახურში იღო. ორასწლოვანი სულიერი გენოციდის გადასახედიდან, როდესაც ბევრი ძვირფასი სარწმუნოებრივი ტრადიცია მოიშალა და დავიწყებას მიეცა, ძნელი აღსაქმელი ხდება ბევრი მართლმადიდებლური ზნე-ჩვეულება. ბულგარეთში, პეტრიწონის მონასტრის XI საუკუნის ერთ ფრესკაზე გამოსახულია ფუსტელი რაინდი. ფრესკაზე გამოსახულია კომკი, რომლის ქვეშ მარჯვენა ხელზე დაყრდნობით წამოწოლილია შუახნის კაცი. ეს კაცი შარავანდედით მოსილი წმინდანების გარემოცვაშია წარმოდგენილი. კომკის თავიდან ამ კაცს მზე დაჰნათის (მზე მურყვამის ანუ კომკის სიმბოლოა. აქ ეს არ არის საკვირველი, პეტრიწის მონასტერი ხომ ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა), მის თავთან არის ბერძნული წარწერა „მაღლით მისით.“ ამ ფრესკაზე წარმოდგენილია აღნიშნული სამონასტრო კომპლექსის, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, „დაცვის უფროსი“ (სახლთუხუცესი, იკონომოსი) ანუ ფუსტელთა გვარდიის უფროსი. კომკი, ფუსტელი რაინდის ტიტულის მაჩვენებელია (გავიხსენოთ ზემოთ ნახსენები სვეტიცხოვლის სახლთუხუცესი პაპუა მაღალაძე). მისი მხარ-თეძოზე წამოწოლილი ფიგურა სიმშვიდის, საიმედოობის მაჩვენებელია, რაც „მაღლით მისით“ უზრუნველყოფილი დაცვის ხარისხზე მიუთითებს. იმდროინდელ ყოფაში ხშირი საგარეო და საშინაო შინააშლილობების დროს მონასტრის საიმედო და მყუდრო ცხოვრების უზრუნველყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც კიდევაც ბრწყინვალედ აისახა ამ ფრესკაზე. საყურადღებოა რომ პეტრიწონის მონასტრის ერთ-ერთი ხელნაწერი სვანეთში მოხვდა, აშკარად ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, ფუსტელთა თეოგეოგრაფიული მხარე, ქვეყნის გარეთ არსებული სამონასტრო კომპლექსების დაცვასაც ეწეოდა და მათ შორის ისეთ უშორესი ობიექტისაც, როგორც იყო ბულგარეთში მდებარე ეს მონასტერი.

ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ რეგიონში კომკის ტიპების განსხვავებას მივეყვართ იმ დასკვნამდე, რომ კომკის ტიპი განსაზღვრავდა


ფუსტელი რაინდის ფუნქციურ ადგილს ეკლესია-მონასტრების სამხედრო დაცვის რთულ სისტემაში.

სვანურად კოშკის სახელი – მურყვამი –სიცოცხლის ხეა, ქვეყნის ზეცასთან მაკავშირებელი კიბეა; ეს კარგად ვლინდება ქართულ ხალხურ ლექსიკაში, მაგალითად, ქართლ-კახურ დიალექტში მურქანი ხეს აღნიშნავს (ქართ. ხალხური პოეზია თბ. 1988 წ. ტ.X გვ.156 გვ.542). ასევე რაჭაში მაღალ ხეს (აღვის ხეს), კოშკი-ხესაც უწოდებენ (შ. ძიძიგური ქართული დიალექტური ძიებანი. თბ. 1970წ. გვ.219). მურყვამი ხალხურ ცნობიერებაში ზეცისკენ აღმართული კიბეა, რომელიც უფალთან გვაკავშირებს. ღვთისმშობლის დაუვადომელში ღვთისმშობელი ზეცასთან მაკავშირებელი კიბეა: „გიხაროდენ ჰოი, დედოფალო, სოფლისა სალხინებლო, და ქვეყნით ზეცად ამაღლებულო კიბეო“ – კოშკი, ანუ მურყვამი, სწორედ მიწის და ზეცის შემაერთებელი კიბეა, რომლის სიმბოლოც დედა-ღვთისმშობელია. (ჟურ. „ხელოვნება“ №2 1993წ. გვ.80-86 „რაჭული ღუროიანი სახლი“). ეს მოვლენა ხალხურ სარწმუნოებრივ აზროვნებას დღემდე ახასიათებს ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ მხარეში. რაჭაში, სოფელ ღებში, კოშკი-სალოცავი „დედაღვთისას“ სახით და ლეჩხუმში სოფელ თაბორში კოშკი ეკლესიის სახით.




სურ 23. რაჭაში, სოფელ ღებში შემორჩენილი კოშკი-სალოცავი „დედა ღვთისა“.

კოშკზე, ანუ მურყვამზე, მიდგმული მაჩუბი (საცხოვრისი), ღვთისმშობლის მკერდზე მიტყუებულ ჩვილ მაცხოვარს განასახიერებს. მარჩბივი-ტყუპია სახარებისეულად; სვანურ ლექსიკას ეს ტერმინი სახარებიდან შემორჩენია. კოშკი-ღვთისმშობელი, მაჩუბი-მის მკერდზე მიტყუებული ჩვილი მაცხოვარი. რაჭაში სოფ. ღების ერთ-ერთ ძველ უბანს სადაც ძველად ბევრი კოშკი იდგა, ტყუბი ეწოდებოდა. (ლ. ფრუიძე „იქ სადაც იბადება რიონი“, თბ. 1990 წ. გვ.83). აქვე საინტერესოა ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილი ეყრდნობა რა სულხან-საბას ლექსიკონს, ამ ტერმინს ასე განმარტავს: ტყუბი ზოგადი სახელი იყო და მარტო ერთ ბუდეში ორის მდგომარების გამოხატველია, ანუ საბას სიტყვით „ორთა ერთსა ბუდესა შინა ეწოდება ტყუბი“ (ივ. ჯავახიშვილი ტ. X გვ.397). ღები, როგორც ცნობილია, სვანთა ნამოსახლია. აქ ტერმინი „ტყუბი“ მაჩუბის (მარჩბივის) შემცვლელად ჩანს. ასე მშვენივრად ცხოვრებისეულ ყოფაში გადატანა ღვთისმშობლისა და მაცხოვრის არსისა, მხოლოდ სულიერად მაღალგანვითარებულ საზოგადოებას შეეძლო (გაზ. „ლილეო“, №6 (25)-2003წ. გვ.3-4).



სურ 24. სვანური მურყვამის (კოშკი), მაჩუბით (საცხოვრისი) განასახიერებს ღვთისმშობელს ჩვილი უფლით.


მეორე ტიპის კოშკი, რომელსაც ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ მხარეში ვხვდებით, არის გუბანდი ანუ რაჭაში დუროიანი სახლი. ასეთი ტიპის ნაგებობა წმ. გიორგის სიმბოლოს მატარებელია, ოთხი სართულით. მთვარის სამყოფელ მეოთხე ცას ჭირანა ეწოდება (სულხან-საბა ლექსიკონი ტ. II გვ. 403, გვ. 323) მთვარე რომ წმინდა გიორგის სიმბოლოა, ამას ივ. ჯავახიშვილიც ამტკიცებს (ქართველი ერის ისტორია 1928 წ., ტ. I. გვ. 46). კოშკთა შესახებ მე ბევრი პუბლიკაციები მაქვს და მათ დაწვრილებით აღწერას აქ აღარ შევუძლები. (გაზეთი „რაეო“ თებერვალი“, 2000წ. გვ. 16-17; გაზ. „რაეო“ №6 (25)-2003წ. გვ. 3-4; ჟურნ. „ხელოვნება“ №2-1993 წ. გვ. 80-86).



სურ 25. ფუსტელთა ყოფაში კოშკის ზედა სართული საკურთხეველის რანგში იყო აყვანილი.

კოშკური კულტურის შორეული ფესვები ჯერ კიდევ მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებში იჩენდა თავს, როგორც რელიგიური მსოფლ-მხედველობის გამოვლინება (ხ. კიკნაძე, „შუა მდინარული მითოლოგია“, თბ., 1979წ., გვ. 115).

კოლხეთში კოშკური ნაგებობების რელიგიასთან კავშირს აშკარად ასაბუთებს ძველ ბერძნულ წყაროებში აღწერილი მოსინიკური კოშკური ნაგებობებიც. ქსენოფონტეს ცნობით, მოსინიკების ხის კოშკები წარმართ მოსინიკ ქურუმთა სამყოფელს წარმოადგენდა. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I გვ. 420).



სურ.26. უძველეს ბერძნულ წყაროებში აღწერილია მოსინიკური კოშკი კოლხეთში (რეკონსტრუქცია გელა გამყრელიძისა). აღნიშნული ხის კოშკები ანალოგიურია სვანური მურყვამ-მაჩუბისა.



სურ. 27. ამ სურათებზე წარმოდგენილია უძველესი კოლხური ხის კოშკებიანი დასახლებები; მათ საბრძოლო სთან ერთად სარწმუნოებრივი დანიშნულება ჰქონდათ.

ქრისტიანულ ყოფაში ეს ტრადიცია გაგრძელდა მესვეტე ბერების ყოფაშიც. (შ. ამირანაშვილი, „დამიანე“, თბ., 1980წ., გვ.9)

ყოველივე ზემოთ თქმული გვარწმუნებს იმაში, რომ ფუსტელთა თეოგეოგრაფიულ მხარეში, კომკური კულტურა განუყოფლად არის დაკავშირებული მართლმადიდებლურ ყოფით ცნობიერებასთან. წარსულში ფუსტელ რაინდთა ტიტულის გამოხატვის ერთ-ერთ უმთავრეს ფორმას კომკური ნაგებობების ზემოთ აღნიშნული ტიპები წარმოადგენდნენ, რასაც საფუძველი წინარე ქრისტიანულ ეპოქაში ჰქონდა. ასეთი მართმადიდებლური ტრადიციების გამომწვეურება მტკიცე საფუძველს უქმნის ეროვნული მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენას და ქართველი ერის ორასწლოვანი სულიერი გენოციდის დამლუპველი მოვლენის აღმოფხვრას.

ფუსტელთა ხალხური ტრადიციები

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფუ(ს)ტი მომდინარეობს უძველესი მზის თაყვანისცემის ეპოქიდან, კოლხთა უმაღლესი ქალღვთაების ფუტის არსიდან. სვანური ქრისტიანული ფენომენის თავისებურება ის არის, რომ საქართველოს ყველაზე მაღალმთიან მხარეში ქრისტიანობას ნოყიერი ნიადაგი დახვდა, რამაც განაპირობა ქრისტიანობამდე ბევრი კულტურული მემკვიდრეობის, ქრისტიანობის მიერ ისე შესისხლხორცება და განვითარება, რომ მასში ძველი წარმართობის ნაშთები თითქმის შეუმჩნეველია. კოლხთა უძველესი წარმართული მზის უმაღლესი ღვთაება, ფუტი, აქ ქრისტიანული უმაღლესი დოგმატის ფუ(ს)ტში, ანუ სამების არსში, გარდაისახა. საქართველოს სხვა მაღალმთიანი რეგიონებივით აქ ქრისტიანობას არა თუ წინააღმდეგობა, მწყობრი, ზეადმავალი, განვითარების უწყვეტი კვალი ნათლად ატყვია. უძველესი სულიერი კულტურული

ღირებულებები ქრისტიანობას კი არ წაუშლია, ისე ბუნებრივად მოუვრგია, ისეთი სრულყოფილება მიუცია, რომ თუ არა თვით ღვთის განგება, ამას ადამიანი ვერ შეძლებდა. ალბათ, მართლაც, ღმერთს სჭირდებოდა ეს მხარე, რომ ადამიანებისთვის ძველი და ახალი აღთქმის ბურჯებზე მტკიცე ხიდი გაედო.

ფუ(ს)ტის, ანუ სამების, შესახებ ჩვენს მეცნიერებსა და სასულიერო პირებსაც, სამწუხაროდ, ჯეროვანი წარმოდგენა არ აქვთ. ამის მიზეზი ორასწლოვანი სულიერი გენოციდის მოვლენაა (1. გაზეთი „საქართველო XXI-ე“ №3 2009 წ. გვ.19; „ცერკოვნი ბუნტ“-ი ათვლის წერტილი, საიდანაც რუსეთის იმპერიამ საქართველოს სულიერი განოციდი დაიწყო. 2. გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“ №9-10, 2008 წ. გვ.2 „რუსული აგრესიის ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა-ქართველი ერის სულიერი გენოციდი). საერთოდ სვანეთი ის მხარეა საქართველოსი, რომელმაც ოაზისივით შემოინახა ეროვნული მართლმადიდებლური ტრადიციები. სვანურმა ყოფამ ქრისტიანულ კანონიკაში ფუსტი სამების სიმბოლოდ გარდასახა, გარდა ამისა, მას ჰქონდა აგრეთვე მეორე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფუნქცია – საეკლესიო-სამონასტრო ობიექტებისა და მათი ქონების დაცვა და გადარჩენა მტრის ხელყოფისაგან. სვანეთმა ეს ფუნქცია პირნათლად შეასრულა. აქ ცალკე უნდა განვიხილოთ, რომ ფუსტი სვანურში არის ქრისტიანული სარწმუნოების უზენაესი დოგმატი – სამება, უმაღლესი, გონებისთვის მიუწვდომელი უფლის არსის ამსახველი ტერმინი. ის განასახიერებს სამება-სულთმოფენობის არსს. თუმცა მას თავისი შინაარსი ჰქონდა ქრისტიანობამდელ ეპოქაშიც, როგორც ფუტიელთა (კოლხთა) უმაღლეს მზის ღვთაებას. საღვთისმეტყველო ევოლუციის ეს ციკლი ნათლად ასახავს იმ ფასდაუდებელ სულიერ-კულტურულ მემკვიდრეობას, რაც ქართველთა მრავალათასწლოვან ისტორიაში აისახა. იმპერიის მიერ მოვლენილი სულიერი გენოციდი კი ასეთ ეროვნულ ღირებულებას ცეცხლითა და მანვილით ებრძოდა და სპობდა. იმ დონემდეც კი დავედით, რომ უმაღლესი რანგის სასულიერო იერარქი ფუსტს, ანუ სამება-სულიწმინდას, საჯაროდ გმობს. უფრო მეტიც, მას ამის მერე

სინოდი მიტროპოლიტის ხარისხში ამაღლებს. რუის-ურბნისის კრების ისტორიული მაგალითი ასაბუთებს, რომ ერის სულიერი გენოციდისაგან თავის დაღწევას, ხელისუფლებისა და ხალხის მხრიდან, რუის-ურბნისის კრების მსგავსი ღონისძიება სჭირდება.

ფუსტის დღესასწაულს ემთხვეოდა, როტაციის პერიოდი. ყველა სოფლისთვის ის ინდივიდუალური იყო. როგორც ცნობილი მკვლევარი გ. გასვიანი აღნიშნავს, ის იწყებოდა ქვემო სოფლებში გაზაფხულის ბოლოს და მთავრდებოდა ზემო სოფლებში გვიან ზაფხულში. ფუსტის დღესასწაულის რიტუალი მიცვალებულთა მოხსენებით იწყებოდა, შემდეგ მოდიოდა სამხედრო-სპორტული თამაშობათა ციკლი, სულ ბოლოს კი ტრაპეზი და ღვინი იმართებოდა და სამხედრო სპორტული სანახაობებით მთავრდებოდა.

ფუსტის რაინდთა უძველეს დღესასწაულად უნდა მივიჩნიოთ „ჰულიში“ დღესასწაული. ეს დღეობა პეტრე-პავლობის მარხვას ერთი კვირით უსწრებს წინ და მას სხვადასხვა საზოგადოებებში სხვადასხვა ხანგრძლივობით (1-5 დღემდე) დღესასწაულობენ. მასში ძველად, როგორც ჩანს, ფუსტელთა მთელი თეოგეოგრაფიული მხარე მონაწილეობდა. მაგრამ XV საუკუნეში, ერთიანი საქართველოს დაშლისა და 1503 წლის სვანთა და ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელის შემდგომ, იგი მხოლოდ ბალსხემოურ სვანურ დღესასწაულად იქცა. ტერმინი „ჰულიში“ უნდა მოდიოდეს „ჰუნიდან“, რაც, სულხან-საბას განმარტებით, „კეთილად ხედნილ ცხენს“ ნიშნავს. მიცვალებულთა პატივსაცემად ცხენებით ჯირითი ხვესურეთშიც იციან და მას „ცხენი“ ეწოდება. „ჰულიშიც“ გმირულად დაღუპული ფუსტის რაინდების ხსოვნისადმი მიძღვნილი რიტუალის სამხედრო-სპორტული დოლი უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს ამ დღესასწაულზე აუცილებლად გამოდის ფუსტელთა მთავარი დროშა ანუ ბავრაყი „ლეში“.

უმეუღლში, ფუსტის (სამების) ტაძარში, ღვინობის (ოქტომბერი) თვის პირველი ორშაბათი „ღვინობა დოშითში“ (ღვინის ორშაბათით) იდღესასწაულებოდა. თუ ჩავთვლით, რომ ფუსტის ტაძრის მთავარი დღესასწაულები იყო: პირველი ფუსტობა (დღე, როცა ხდებოდა საეკლესიო

ჯარების როტაცია) მეორე – სულიწმინდის მოფენა-სამებობა, მესამე – ღვინობა ღოშთიმ; მეოთხე – შობა, მეხუთე – აღდგომა. ამ დღესასწაულებს შორის ჩვენ განვიხილავთ ღვინის დღესასწაულს, ვიმსჯელებთ რა სოფელ უშგულის მაგალითზე, იგივე უნდა ვიგულისხმოთ სვანეთის სხვა სოფლებშიც, სადაც ფუსტის (სამების) ტაძრები იდგა. ყველა ამ შემთხვევაში ღვინის პატივისცემა და სადღესასწაულო რანგში აყვანა დაკავშირებულია ქრისტეს სისხლის პატივისცემასთან, იმ სისხლისა, რომელიც ჩვენთვის დაანთხია ქვეყნის მხსნელმა უფალმა-მაცხოვარმა. სვანეთში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში ლუდი არ იცოდნენ, ვინაიდან იგი წარმართული კერპების სასმელად ითვლებოდა და ქრისტიანულ ყოფაში მისი მოხმარება სასტიკად იკრძალებოდა. ადრე აქ, როგორც მთელ საქართველოში, არაყიც არ იყო ფართო მოხმარების სასმელი. არყის მოხმარების გავრცელება საქართველოში რუსთა შემოსვლის შემდეგ დაიწყო. ღვინისა და ვაზის კულტურასთან სვანთა დამოკიდებულების ბრწყინვალე საბუთია 1503 წლით დათარიღებული სვანთა და ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი. შუა საუკუნეების პერიოდში რაჭის მფლობელ ფეოდალ ჯაფარიძეთა მტრობის შედეგად სვანეთი მკაცრ ბლოკადაში აღმოჩნდა. ამ მტრობის გამო სვანეთმა დაკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და გადაიხდა დიდი კონტრიბუცია რაჭის ფეოდალ ჯაფარიძეთა სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტი ასე იწყება: „შვიდს წელიწადს ასრე ვიყვენით, რომე სრულიად სვანეთის ქვეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიმოვებდითო.....“ ე.ი. ღვინო, რომელიც სვანეთს გარედან შემოჰქონდა როგორც ქრისტიანული ყოფის აუცილებელი ელემენტი, ვეღარ შეუტანიათ ჯაფარიძეთა მტრობის გამო, რის შედეგად 7 წელი მთელი სვანეთი უზიარებელი იყო. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, ქრისტიანული ცხოვრების წესის ღრმად პატივისმცემელი სვანებისთვის უმთავრესი სატიკვარი ის იყო, რომ ჯაფარიძეთა ბლოკადის გამო საზიარებელი ღვინის უქონლობამ მოშალა უმთავრესი ქრისტიანული რიტუალი. სვანეთის ღვინის დღესასწაულის მაგალითი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი ქრისტიანული წესებით ცხოვრობდა ქართველი ხალხი და

რა როლს თამაშობდა ქართველი ხალხის ყოფითი ტრადიციების ჩასახვან-განვითარებაში იმდროინდელი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. „თოდრაკელის ძღვევას“ – ამ ხალხურ რიტუალს, ანალოგი მოეძებნება სვანეთში, ლაშთხვერის მთავარანგელოზის და უშგულის მაცხოვრის ტაძრის გარე კედლების ფრესკებზე. ამ ფრესკებზე წარმოდგენილია ამირან დარჯელანის და ბაყ-ბაყ დევის ბრძოლა.



სურ. 28. ლაშთხვერი, წმ. მთავარანგელოზთა ეკლესია. ჩრდილოეთის ფასადის ფრესკა: ამირან დარჯელანი ებრძვის ბაყბაყ დევს.



სურ. 29. ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის ერთ-ერთი ბატალური სცენა. ამირან დარჯელანი და მისი თანამებრძოლები ებრძვიან ბოროტების სიმბოლოს – ბაყბაყ დევს.

ამ სამხედრო-სარწმუნოებრივი რიტუალის დანიშნულება იყო, ფუსტის რაინდთა ფსიქოლოგიური სამხედრო მომზადება. ისინი შემართებულნი და უშიშარნი უნდა ყოფილიყვნენ ნებისმიერ ბოროტ და უძლეველ ძალასთან ბრძოლაში. ამ რიტუალს ატარებდნენ ფუსტელთა უძველესი და უმთავრესი ფორპოსტის სოფ. ფუტიეთის მკვიდრები. იგი ტარდებოდა სოფლის მთავარი დღესასწაულის სულიწმინდის მოფენის (მეერგასე დღის) დღესასწაულის მეორე დღეს, ე.ი. სამებობის ანუ ფუსტობის დღეს. სოფლის მცხოვრებლები აღმართავდნენ თივისაგან დამზადებულ ბაყ-ბაყ დევს, მისი სიმაღლე ზოგჯერ 10 მეტრსაც კი აღემატებოდა. შემდეგ ამ დევის ირგვლივ თავს იყრიდა მთელი სოფელი. მას წინდაწინ შურდულით ქვების ტყორცნას უწყებდნენ, მეშურდულები ცდილობდნენ, მისთვის შუბლში გაერთყათ ქვა. აღნიშნული ქმედება ჭაბუკი დავითისა და გოლიათის ბრძოლის, ძველი აღთქმის ისტორიის მიბაძვა იყო. ვინაიდან მეშურდულები ყოველთვის სოფლის ჭაბუკთა წრიდან იყვნენ, მასში უფროსი თაობის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ. ამ რიტუალის შემდგომ წინასწარ გამორჩეული უხუცესი ცეცხლიან ისარს სტყორცნიდა ბაყ-ბაყ დევს. პირველ ისარზე ასე დაიძახებდა: „ასეთ კუპრის ცეცხლში დაიწვას (ისარს კუპრში ავლებდნენ) ჩვენი სარწმუნოებისა და ქვეყნის მტერი“; მას ხალხი „ამინით“ უპასუხებდა. მეორე ისარზე – „ასე დაიწვას კუპრის ცეცხლში ეკლესიის ქონების ხელმყოფელი“; ხალხი კვლავ ამინს შესძახებდა. მომდევნო ისრებზეც უარყოფით პერსონაჟებს თრგუნავდნენ. ამის შემდგომ თივის დევს ცეცხლი უჩნდებოდა. კაცები ცეცხლმოდებულ დევის ირგვლივ „ამირანის ფერხულს“ აბამდნენ, ფერხული საფეხურებიანიც სცოდნიათ. ძველად, როგორც ამბობენ, 7 სართულიანი ფერხულის ჩაბმის შემთხვევაც ყოფილა.

მართალია „თოდრაკელის ძლევა“ ძირითადად სამებობას ანუ ფუსტობას იცოდნენ, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მას სხვა დროსაც მართავდნენ, როცა ქვეყანას გარეშე მტრის სახით განსაცდელი დაატყდებოდა თავს. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის მონაწილენი სოფელ ფუტიეთიდან ამ რიტუალით გაუცილებია სოფელს.

როგორც ჩანს აღნიშნული რიტუალი უძველესი სამხედრო-ფსიქოლოგიური მომზადების სულიერ-მისტიკური მეთოდია. ჩანს. სიტყვა „თოდრაკელი“, სულხან-საბას განმარტებით, „უტიფრად ბოროტის მოქმედს“ ნიშნავს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მტრის ბოროტმოქმედების ძლევასთან. ამ ძლევის და მტრის სასტიკად დამარცხების მაჩვენებელია ისიც, რომ ბოლოს უკვე ჩამწვარ დევს გამარჯვების ომახიანი შეძახილებით ახტებოდნენ ზევიდან.



სურ.30. „თოდრაკელის ძლევის“ რიტუალი საკათალიკოსო ღირსების მქონე საეკლესიო სოფელ ფუტიეთში.

საკაცებო – ეს იყო სოფელ ფუტიეთში მამაკაცთა თავშესაყრელი ადგილი. ზოგადად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, წარსულში ცნობილი იყო სოფლის მცხოვრებთა თავშესაყრელი, ანუ სოფლის საზოგადოებრივ-სახალხო მმართველობის ფორმები, მაგალითად, ხევსურეთში საფენხო; თუშეთში საანჯამო; ხევში ერობა; ლაზეთში ოლინღალე; სვანეთში ლანყავი და ლალხორი; რაჭაში სანანშო (რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად. თბ. 1965 წელი).

საკაცებო სოფელ ფუტიეთში სოფლის ცენტრში მდებარეობდა. გზა-შარის ორივე მხარეს ძველად მოწყობილი იყო სკამები. სადაც სხდებოდნენ სოფლის უხუცესი მამაკაცები. დასხდომა სკამებზე ძველთაგანვე ასაკის მიხედვით ხდებოდა. ცენტრში მდებარე სკამები უფროსი ასაკის წარმომადგენლებს ეთმობოდათ, ხოლო განაპირა ნაკლებ ხნოვანებს. თითოეულ მათგანს, როგორც წესი, ხელში რკინის ბუნიკიანი ხელჯოხები, მუჯირები, ეპყრათ. მუჯირა ისე როგორც საოჯახო საუფროსო სკამი – საკარცხული, აქ მხცოვანი ადამიანის ტიტულის მაჩვენებელი იყო. ამით უნდა ავხსნათ ალბათ ისიც, რომ საკაცობოზე უხუცესები მუჯირის გარეშე არ მიდიოდნენ. საკაცებო წარმოადგენდა საკრებულო-სათათბიროს (პარლამენტის მსგავსს). აქ იხილებოდა და წყდებოდა სოფლის ყველა მიმდინარე საკითხი. აქ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სოფლის თითოეული მცხოვრებისათვის სავალდებულო იყო. საკაცებოს გადაწყვეტილების შესრულებას თვალყურს ადევნებდა, ე.წ. „ძალოვანი სტრუქტურა“ – ხელოსნები. ხელოსნებად საკაცებო ირჩევდა ჯან-ლონიან ახალგაზრდა კაცებს, მათი მოვალეობა იყო თვალყური ედევნებინათ და სისრულეში მოეყვანათ საკაცებოს გადაწყვეტილებები. სოფელ ფუტიეთის ყოფის ფესვები უნდა ვეძებოთ მეფე აიეტის დროინდელი კოლხთა უმთავრესი სალოცავის მზის (ფუტის) ისტორიიდან. როდესაც მეფე აიეტმა შეიტყო „ოქროს საწმისის“ და მედეას გატაცების ამბავი, მან კოლხები სათათბიროდ შეყარა. ეს სათათბირო, არ არის გამორიცხული, დღევანდელამდე მოღწეული საკაცებო იყოს. მთაში უძველესი მზის (ფუტის) ტაძრის მანლობლად დღესაც არსებობს ეზოკრების ტოპონიმი. ეზოკრება ეწოდებოდა საყოველთაო-სახალხო თათბირს, როცა ქვეყანაში განსაკუთრებული რამ ხდებოდა. ეზოკრებაზე იკრიბებოდა ბერი და ჯეელი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. „ოქროს საწმისის“ გატაცების ექო, ეზოკრების ზურგის სახელით ცნობილი ტოპონიმი დღემდე არსებობს უძველესი მზის (ფუტის) ტაძრის გვერდით. როგორც უტყვი მოწმე ამ შორეული ისტორიული მოვლენისა. (გაზეთი „რაეო“ აპრილი 1996 წ. საკაცებო).

ზოჩალა კაცი – ასე იწოდებოდა სოფელ ფუტიეთში, კარგი ვაჟკაცი, კაცი ჯანლონიანი, მოხერხებული, კარგი ცხენოსანი, კარგი მეთორული თვისებებით დაჯილდოებული. ამ საპატიო სახელის მქონე პიროვნება, აკაკი გრიგოლის ძე არჩვაძე, დღესაც ცხოვრობს სოფელში. ახლა იგი 80 წელზე მეტი ხნისაა, მან ეს წოდება ჭაბუკობაში დაიმსახურა.

„ფუსტის რაინდთა ნაკვალევი“ და 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყება

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ, ფრესკების გადაღებვამ, საეკლესიო ქონებისა და სიწმინდეების ხელყოფამ, ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილის გაუქმებამ და ღირსეული სასულიერო პირების განდევნამ, ეპარქიების გაუქმებამ და გამსხვილებამ, რაც მთავარია ქართული ეროვნული საღვთისმეტყველო მეცნიერულ-ფილოსოფიური სწავლების ძირფესვიანმა მოსპობამ საფუძველი დაუდო ქართველი ერის სულიერ გენოციდს. ამ არნახულმა, ეროვნული სულისთვის მომაკვდინებელმა მოვლენამ წარმოშვა 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყება („ცერკოვნი ბუნტ“). ქართული ეროვნული სულიერი ღირებულებების დამცველი სამხედრო-საეკლესიო ორდენი „ფუსტები“ იმთავითვე ამ სისხლისმღვრელი აჯანყების ავანგარდში აღმოჩნდნენ. 1820 წლის გაზაფხულზე რუსეთის იმპერიის სადამსჯელო სამხედრო შენაერთები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ, ვინაიდან ფუსტელმა რაინდებმა საიდუმლოდ დიდძალი საეკლესიო განძი შეაგროვეს და ჩვეული გზით, სვანეთისკენ, დაძრეს გადასამალად. (ჟურნალი „არსენალი“ №4, 2008 წ. გვ. 12-14 „ტაბუ დაღებული სამხედრო კულტურული მემკვიდრეობა“; ჟურნალი „არსენალი“ №6 2008 წ. „ფუტიეთის ბრძოლა“). პირველი შეტაკება 1820 წლის 30 მაისს მოხდა იმერეთში, სოფელ ზემო საზანოსთან, (ისტორიული სკანდეს ციხის მახლობლად). აქ დღემდე არსებობს ამ მოვლენის უტყვი მოწმე „დამწვარი ეკლესია“. ოთხი დღის შემდეგ, 1820 წლის 3 ივნისს, ფეხდაფეხ ადევნებულ რუსთა ჯარს ფუსტელთა მხედრობამ გმირული ბრძოლა გაუმართა რაჭაში, ფუსტელთა უძველეს ფორპოსტთან, სოფელ ფუტიეთთან. ეს სოფელი უხსოვარი დროიდან ფუსტელთა გარნიზონს წარმოადგენდა



სურ.32. 1990 წელს ფუტიეთში პირველად აღინიშნა
საეკლესიო აჯანყების 170 წლისთავი.

ორსავე შემთხვევაში ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან აქტიუობა დიდი იყო. (გაზეთი „კომუნისტი“ 27 აპრილი 1990 წ. გვ.2. „სიცოცხლე თავისუფლება ერთია). რაც შეეხება ეკლესიას, მან ამ მოვლენის ხმაურით აღნიშვნას ორსავე შემთხვევაში დუმილით უპასუხა. (გაზეთი „საქართველო XXI-ე“ №3, 2009წ. გვ.19 „ცერკოვნი ბუნტ“-ათვლის წერტილი, საიდანაც რუსეთის იმპერიამ საქართველოს სულიერი გენოციდი დაიწყო; გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“ №9-10, 2008წ. გვ.2 “რუსული აგრესიის ყველაზე მძიმე შემთხვევა – ქართველი ერის სულიერი გენოციდი“; გაზეთი “ახალი განათლება“ №18(317), 2006წ. „ვინ მოხსნის ორასწლოვან ტაბუს ფუტიეთის ტრაგიკულ ბრძოლას“. ეკლესიის მხრიდან ეს ტაბუ კიდევ 18 წელი გაგრძელდა! 2008 წელს დეკემბერში სანდრო ახმეტელის თეატრმა წარმოადგინა გურამ ქართველიშვილის მიერ „ცერკოვნი ბუნტის“ ისტორიულ თემაზე

შექმნილი პიესა. ბატონი გურამი ამის შესახებ ჟურნალ „გზაში“ წერდა: „ჩვენს საზოგადოებაში რომ წარსულის ტოტალური უტოლინარობაა, ეს ფაქტია, სამწუხაროდ, ძალიან კარგმა ქართველებმაც კი ბევრი რამ არ იციან. ამ პიესაში აღწერილი ეპოქა თვითონ რუსებმა განსაკუთრებულად მიჩქმალეს, რადგან სწორედ მათი ისტორიის სამარცხვინო ფურცელია, როგორ მოექცნენ ქართველ მართლმადიდებლურ ეკლესიას“. პიესის დამდგმელი რეჟისორი გიორგი შულუტაშვილი ასე ახასიათებს ამ აჯანყების ისტორიულ პერიოდს: „ამ ამბოხის წინაპირობა იყო რუსეთის ეგზარხოსის გადაწყვეტილება, აღწერა საქართველოს საეკლესიო განძი, გაეტანა და ფულად ექცია. ეს ის პერიოდი, როდესაც საქართველოს აღარც სამეფო ტახტი აქვს და აღარც კათალიკოსი ჰყავს. ერთობისაკენ მოწოდების უფლება კი მხოლოდ მეფეს აქვს. მაშინ ერთიანი ხდება გლეხიც, თავადიც და აზნაურიც. ეს იყო საქართველოს ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა, როდესაც დამპყრობლის წინააღმდეგ ომი ეკლესიამ გამოაცხადა. ამას მიტროპოლიტები – დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი ხელმძღვანელობდნენ. ქართველებმა მოახერხეს 280 ჯორის საპალნე ოქრო-ვერცხლის სვანეთში გადაძალვა, მაგრამ ეს ძალიან ძვირად დაუჯდათ. მარტო ბოლო ბრძოლაში ფუტიეთთან 2000-ზე მეტი რაჭველი, იმერელი და მთელი დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელი დაიღუპა. ეს იყო უსასტიკესი ზოცვა-ჟლეტა. საქართველოში ამ ფაქტის შესახებ ძალიან ცოტამ იცის, არადა ეს არის დაახლოებით შამქორის და ბასიანის ბრძოლების დარი მაგალითი. კომუნისტებმა ისტორიიდან ეს ფურცელი ამოგვიხიეს, რადგან სინამდვილეში, საბჭოთა იმპერიაც ხომ რუსული იმპერიის გაგრძელება იყო! მას ჩვენთვის უნდა შეექმნა ილუზია, თითქოს ეს საერთო სახალხო აჯანყება მხოლოდ პატარა ბუნტი იყო. სხვათა შორის 30-იან წლებში ექვთიმე თაყაიშვილი ბუენოს-აირესში წერდა პაპავებს, როგორმე სანდრო ახმეტელისათვის მიეწვდინათ ხმა, რომ ამ აჯანყების თემაზე სპექტაკლი დაედგა“ (ჟურნალი „გზა“ №51(445)-2009წ. გვ.26-28).



სურ. 33. ფუსტელთა სკოლა-მუზეუმში წარმოდგენილია 1819-1920 წწ.-ის საეკლესიო აჯანყების დროინდელი საბრძოლო იარაღი.

ამ ტრაგიკული ისტორიის სცენაზე გადმოტანა დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამით იწყება ქართველი ერის ორასწლოვანი სულიერი გენოციდის ყინულის დნობა. თუმცა ფუსტელთა მრავალათასწლოვანი ფასდაუდებელი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ არის წარმოდგენილი პიესაში. აქ მაინც კიდევ ძალუმაღ იგრძნობა ორასწლოვანი სულიერი გენოციდის მარწუხებში მოქცეული დღევანდელი ქართული ეკლესიის გავლენა. ეს მარწუხები ჯერ კიდევ ზღუდავს და გზას უხშობს ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერების გაღვივებას. ეროვნული მართლმადიდებლური ტრადიციების მიღმა ბევრი უნიკალური ეროვნული სულიერ-კულტურული ღირებულებაა. ასეთთა შორის არის ფუსტობის ძველთაძველი გმირული სამხედრო-საეკლესიო ტრადიცია. ფუ(ს)ტის ტრადიციას, ამას ძველი აღთქმაც გვიდასტურებს, ბიბლიური ნოეს

შვილიშვილის ეთნარქ ფუტისგან ეყრება საფუძველი პროტოქართველთა სამყაროში (ესაია 66-19). დავით აღმაშენებლის ეპოქაში ქართველ გრაალის მცველთა ანუ ფუ(ს)ტელთა სამხედრო-საეკლესიო ტიპიკონს გაეცნენ ევროპელი ჯვაროსნები და 1119 წელს იერუსალიმში მიბაძვით შექმნეს ფუ(ს)ტელთა მსგავსი ტამპლიერთა ორდენი. ეს ორდენი რომ ქართველ ფუ(ს)ტელთა მიბაძვით შეიქმნა, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ევროპელ რაინდს კურთხევის ბოლოს, გადაეცემოდა სატიტულე მახვილი, რომელსაც ევროპაში „ფუსტაკი“ ეწოდებოდა. (ალა იასტრებიცკაია. „XI-XIII ს.ს-ის დასავლეთი ევროპა“. თბ. 1981წ. გვ.128). სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ საქართველოს მთაშიც იგივე ტიპის ვადაჯვრიან ორღესულ მახვილს „ფრანგული“ ეწოდებოდა. როგორც ცნობილია, საქართველოში „ფრანგი“ – კათოლიკობასაც აღნიშნავდა. ამრიგად ეს ფაქტი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ქართველ და ევროპელ ქრისტიანებს დავით აღმაშენებლის ეპოქაში მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ. რუსულმა იმპერიულმა ინტერესებმა ქართველი ერის მახსოვრობიდან განზრახულად ამოძირკვა ფუსტობის უძველესი სამხედრო-საეკლესიო მემკვიდრეობაც 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყებასთან ერთად. ორასწლოვას სულიერ გენოციდს ოაზისივით გადაურჩა მხოლოდ სვანური ქრისტიანული ფენომენი.

ძველ დროში, ომიანობის დროს საეკლესიო სიწმინდეთა გადარჩენის მიზნით, გაზიზვნის ვალდებულება დასავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა ტრადიცია იყო. ამ მხრივ სვანებმა გამორჩეულად ერთგულად შეინარჩუნეს ეს ფასდაუდებელი ეროვნული ტრადიცია. რუსულმა იმპერიამ კარგად იცოდა, თუ რა ძლიერი იყო სვანური ქრისტიანული ფენომენი, ამიტომ ეს შესანიშნავი მხარე თითქმის ორას წელიწადს იყო მოკვეთილი ეროვნულ ქრისტიანულ სამყაროს, რათა როგორმე დაემუხრუჭებინათ ქართველი ერის სულიერი ცხოვრების

გაღვიძების პროცესი და ჩვენს ერში საფუძველშივე ჩაეკლათ სულიერი დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა.

2003 წელს, საეკლესიო აჯანყების შემდეგ პირველად, 1-7 აგვისტოს მოეწყო გრანდიოზული მომლოცველობითი ლაშქრობა საჩხერიდან-მესტიამდე იმ უწმინდესი და უძველესი გზით, რომელზედაც ფუსტის რაინდებმა თავიანთი ბოლო ვალი მოიხადეს საეკლესიო აჯანყების დროს. ამ ლაშქრობაში სულ 120 მომლოცველი მონაწილეობდა, მათ შორის 70 სამხედრო პირი. იგივე გზა განმეორებით გაიარეს 2005 წლის აგვისტოში სასაზღვრო დეპარტამენტის სამხედროებმა. ამის შემდეგ ამ წმინდა გზაზე გავლა თითქმის ტრადიციად იქცა სამხედრო და საერო პილიგრიმებისათვის. ყოველი ექსპედიციის დროს ჩვენს ცნობიერებას ემატება მეტი და მეტი ცოდნა ფუსტელთა სამხედრო-საეკლესიო ღვაწლის შესახებ. ბოლო ექსპედიციის დროს მოპოვებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფუსტის მხედართა საგზაო-საველე ყოფის შესახებ. სოფ. ფუტიეთში აღმოვაჩინეთ 365-ფუთიანი ქვევრი (5840 ლიტრი ტევადობის), რომელიც ფუტიეთში ბაზირების დროს სვანეთიდან წამოსულ ფუსტელთა მხედრობას სასმელით უმასპინძლდებოდა. გადმოცემით დავადგინეთ, რომ თითოეული მებროლი დღე-ღამეში ორ ჩარეკა ღვინოს იღებდა, რაც დაახლოებით 1,5 ლიტრს უდრის. დაზუსტდა თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმების ზუსტი მდებარეობა ჭიშკარას უღელტეხილის მიდამოებში. ექსპედიციამ გამოიკვლია ტოპონიმები, რომლებიც კავშირშია ფუსტელთა ტრადიციულ გზასთან. რაჭიდან სვანეთისკენ გადასასვლელ მონაკვეთზე დასტურდება დიდი სამონასტრო კომპლექსის, სოხასტერის არსებობა, არის ინფორმაცია რომ აქ არსებობდა წმინდა მეფის თამარის სახელზე აგებული ტაძარი. ხოლო ზედ უღელტეხილზე შემორჩენილია ე.წ. „თამარის ქვა“ („თამარი ბაჩ“) რომელიც თითქმის სამსართულიანი სახლის სიმაღლისაა და როგორც ჩანს, მის ძირში მოწყობილი იყო ღამის სათევები ფუსტის მხედრების მიმოსვლის დროს. იქვე არის ცხენზე აკიდებული ბარგის

შესასწორებელი ორი ქვის კორიდორი. მონახულებულ იქნა „ქალაქოლის“ უძველესი ნანგრევები, სადაც ხდებოდა ქვემო სვანეთში გადასული ფუსტის რაინდების ბაზირება. 1820 წლის ფუტიეთის ტრაგიკული ბრძოლის შემდეგ ქალაქოლი იყო პირველი სვანური დასახლება, სადაც 280 ჯორზე აკიდებული საეკლესიო სიწმინდეები იქნა მიტანილი. სოფელი სხვადა და იქ მდებარე კვარაცხე ჩამკეტ კარიბჭეს წარმოადგენდა ფუსტელთა მთავარ გზაზე, რომელიც იწყება საჩხერეში და მთავრდება მესტიაში (149 კმ). საინტერესოა სოფელ სხვადაში ცნობილი მკვლევარის კონდაკოვის მიერ დაფიქსირებული „მეფეთა სასახლის“ და „ერისთავთა სასახლის“ ადგილმდებარების დადგენაც.

დღეს ამ ისტორიული წმინდა გზის შესწავლა-ათვისების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს სოფ. ფუტიეთში არსებული საპრეზიდენტო დათვალიერება ფესტივალის ლაურეატი ფუსტელთა სკოლა-მუზეუმი. ეს მუზეუმი 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების გმირთა მემორიალ-მუზეუმიც არის.



სურ. 34. ქართული ეკლესიის თავდადებული ქომაგი და მხარდამჭერი, ეროვნებით რუსი ნიკოლოზ დურნოვი.

ფუსტილ-ტამპლიერთა კავშირები, უკველესი ფესვები ევროპული და ქართული ქრისტიანული სამყაროს ურთიერთობის ისტორიაში

თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ მეცნიერულ გამოკვლევებში გამორჩეული ადგილი დაუთმო ქართულ-ევროპული ქრისტიანული ურთიერთობის ისტორიის საკითხებს. ამასთან მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ტამპლიერების საკითხზე: „ტამპლიერობა იყო მოძრაობა, რომელმაც გააერთიანა დასავლური და აღმოსავლური სიბრძნე, დასავლური და აღმოსავლური ინიციატია. ტამპლიერობა მარტო დასავლეთის საკუთრება არ არის. ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა ქართველ რაინდებსა და ტამპლიერებს შორის“ (ზ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია. თბ. 1990წ. გვ.26).

ამ პერიოდში ევროპელი ჯვაროსნები, როგორც ჩანს, მჭიდრო კავშირს ამყარებენ აღმოსავლური ქრისტიანული ბასტიონის დამცველ ქართველებთან. იმ საერთო მიზნის მისაღწევად, რომელსაც უფლის საფლავის განთავისუფლება ედო საფუძვლად, ეს ორი სამყარო ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა. საკრამენტუმი, რომელიც ამ ეპოქაში ჩაისახა ევროპელ და ქართველ ქრისტიანებს შორის, შემდგომმა ისტორიულმა გარემოებებმა დავიწყების ბინდით დაფარა. ეს უნიკალური საკრამენტუმი დღეს, მართლაც, მოითხოვს ძირეულ მეცნიერულ-საღვთისმეტყველო შესწავლას და კვლევა-ძიებას, ვინაიდან იგი აშკარად ასაბუთებს იმ საერთო არქაული ფუნდამენტის არსებობას, რომელზეც იდგნენ კათოლიკური და მართლმადიდებლური სამყაროები გარდასულ ეპოქაში. მით უმეტეს დღეს, როცა ჩვენში არსებობენ ძალები, რომელთაც დასავლურ ცივილიზაციასთან ჩვენი ინტეგრაცია მიზანშეუწონლად

მიაჩნიათ. ამას ხშირად საფუძვლად უდებენ „მართლმადიდებლობის“ ფაქტორს, რომელიც ძირითადად ჩვენი ყოფილი მეპატრონე-იმპერიასთან თანაცხოვრების გავლენითაც აიხსნება. უნდა აღინიშნოს ის ისტორიული რეალობა, რაც ქართული ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერების ეკლესიას დაატყდა თავს რუსული იმპერიის წყალობით. 1819-1820წ.წ. საეკლესიო აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რუსულმა იმპერიამ საფუძველი დაუდო ყველაზე დიდ დამლუპველ მოვლენას – ქართველი ერის სულიერ გენოციდს, რომლის დამლუპველი ზემოქმედებისთვის დღემდე ვერ დაგვიღწევია თავი, მე არაერთხელ გამოვთქვი ჩემი მოსაზრება ამ მანვე მოვლენისაგან თავის დაღწევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; რომელთა შესახებ ამ წიგნის შესავალ ნაწილშიც არის საუბარი.

ზ. გამსახურდიას თავის დროზე გამოთქმული მეცნიერული კარაუდები მისაღებია. მას სამართლიანად მიაჩნდა ვოლფრამ ფონ ეშენბახის პარციფალი გრაალის მოძრაობის სიმბოლოდ. გრაალის მოძრაობის ფუძემდებლებად კი, ამ შემთხვევაში, ფუსტელ ტამპლიერთა ქართულ-ევროპული სამხედრო-საეკლესიო ქრისტიანული ორდენები იკვეთებიან. ამ ორმა ორდენმა წარსულში სათავე დაუდო აღმოსავლურ და დასავლური სიბრძნის შერწყმას და განვითარებას, რომელიც გარკვეული ისტორიული მოვლენების გამო სრულ დავიწყებას მიეცა. ამ დავიწყების ფარდის გადაწევა დღევანდელ ეპოქას არგუნა უფალმა. ამ ისტორიის ცნობიერებაში დაბრუნება გზას გაუხსნის, განამტკიცებს და განავითარებს ჩვენს შემდგომ ურთიერთობებს, რაც თავის დროზე არსებობდა საქართველოს და დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროს შორის. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, 1119 წელს ჯვაროსანთა მეფე ბოლდუინი იღუპა ჩამოვიდა მეფე დავით აღმაშენებელთან სამხედრო დახმარების სათხოვნელად. მან ეს დახმარება მიიღო. ამ დახმარების შედეგია ის,

რომ ევროპელმა ჯვაროსნებმა ქართული სამხედრო-საეკლესიო საიდუმლო რაინდთა ორდენის სრული ასლი გადაიღეს და შექმნეს ტამპლიერთა სამხედრო-საეკლესიო რაინდთა ორდენი. ალა იასტრებიცკაიას ავტორობით გამოცემულ წიგნში ზუსტად არის აღწერილი სამხედრო-საეკლესიო რაინდის კურთხევის ცერემონიალი, რაც ფუსტის რაინდთა ტიპიკონით იყო მიღებული: „მთელი ღამე კურთხევის წინ რაინდს სამრეკლოში უნდა გაეთია, გამთენიისას თავისი იარაღი საკურთხეველზე უნდა დაეწყო, ღმერთისათვის მიეძღვნა და წირვის მოსმენის შემდეგ ზიარებულყო. ზოგიერთ შემთხვევაში კურთხევის ძირითად ელემენტს-ხმლის წელზე შემორტყმას-რაინდი კი აღარ აღასრულებდა, არამედ ეპისკოპოსი. კურთხევის რიტუალში უდიდეს როლს თამაშობდა ფერისა და საგნების სიმბოლიკა. რაინდს ტილოს ან აბრეშუმის თეთრ პერანგს აცმევდნენ მისი უმწიკვლობის სიმბოლოდ, ზემოდან კი ალისფერ სიუროკს, ნიშანს სისხლისას, რომელიც ეკლესიის სახელით უნდა დაეღვარა. შოსი ყავისფერი ეცვა, რამეთუ კაცი მიწას უნდა დაბრუნებოდა; ქამარი თეთრი ეკეთა, „წელის სიწმინდის“ დასტურად; ხმლის ტარი ჯვრით იყო დამშვენებული, ორლესული პირი კი იმ სიმტკიცისა და ერთგულების სიმბოლოდ ითვლებოდა, რომელიც რაინდს სუსტის ძლიერისაგან და ღარიბის მდიდრისაგან დაცვისას უნდა გამოემჟღავნებინა“ (ალა იასტრებიცკაია. „XI-XIII ს.ს.-ის დასავლეთი ევროპა“, თბ., 1981წ., გვ.127). აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სატიტულე იარაღის სიმბოლო, რომელიც კურთხევის ცერემონიალს ავგირგვინებდა, ფუსტაკად (ფუსტუცა) იწოდებოდა (იგივე ნაშრომი გვ. 128). ტამპლიერის სატიტულე მახვილს ევროპაში თუ ფუსტაკი ეწოდებოდა (გავიხსენოთ ზემოთ ნათქვამი, ძველ აღთქმაში და ძველ აღმოსავლეთში პროტოქართველთა ძველი სახელი ფუტიელი), საქართველოს მთაში იგივე ვადაჯვრიან ორლესულ მახვილს ფრანგული ეწოდებოდა. ხომ არ არის აქაც იმ

უძველესი ქრისტიანულ-რაინდული კავშირების კვალი? ამ აზრს მომავალი კვლევები გაარკვევს და გააღრმავებს.

ტამპლიერთა და ფუსტელთა ურთიერთობის გარდასული ისტორიის შემდგომი შესწავლა და გამომზეურება წარმოაჩენს იმ დაფარულ ფესვებს, რომელიც არსებობდა ქართველ და ევროპელ ქრისტიანებს შორის შორეულ წარსულში. ევროპელ ტამპლიერთა ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებები აუცილებლად უნდა დაუძეგობრდნენ ქართველ ფუსტელთა ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებებს. ამით ჩვენ საფუძველს ჩავუყვრით და განვამტკიცებთ პროგრესული ინტეგრაციის საფუძვლების განვითარებას ჩვენს შორის. ჩვენს ქრისტიანულ ისტორიას ამით ეძებნება საერთო თანაცხოვრების ძველისძველი ფესვები, რაც ასე საჭიროა დღეს ჩვენი მომავალი ურთიერთობის განვითარებისათვის. როგორც შევიტყვე, სტუდენტ-ახალგაზრდათა ჯგუფმა, გიორგი ცინაძის ინიციატივით, საქართველოში უკვე დააფუძნა „ფუსტელთა საზოგადოება“. ამ ახალგაზრდულ ორგანიზაციას გააჩნია დროშა „ლემი“, გერბი და ჰიმნი. იმედია, ეს ახალგაზრდები მეგობრობის ხელს მალე ჩამოართმევენ ევროპელ ტამპლიერთა საზოგადოებებს და მომავალში საერთო ძალისხმევით ეცდებიან გააღრმავინ ის ცოდნა, რომელიც ნათელს მოჰყვნს ტამპლიერთა და ფუსტელ რაინდთა უძველეს, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობ ისტორიებს. შესაძლოა, ამას გულისხმობდა ზვიად გამსახურდია თავის გამოკვლევებში, როცა ამბობდა: „ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა ქართველ რაინდებსა და ტამპლიერებს შორის“.

რისტვის დასჭირდა სტალინის ფუსტელ რაინდთა უკანასკნელი დიდი საბრძოლო ეპოქის, 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების ისტორია

1942 წელია დიდი სამამულო ომი კრიტიკულ ფაზაში შევიდა. ფაშიზმი და კომუნიზმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო შერკინებული. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერის ელვისებური ომის გეგმა ჩაიშალა, გერმანელ ფაშისტთა უპირატესობა აშკარა იყო. მტერი შეუფერხებლად მოიწევა ქვეყნის სიღრმისაკენ. მთავრობა კუიბიშევში გაიხიზნა. თვით სტალინი მოსკოვში, კრემლში დარჩა. ასეთ ვითარებაში სტალინი ხშირად იბახებდა ბერიას სხვადასხვა საპასუხისმგებლო დავალებებისათვის. ერთხელ ერთ-ერთი ასეთი გამოძახების დროს, ბელადმა ბერიას დაავალა, მოეძებნა შესაბამისი კვალიფიკაციის მეცნიერი, რათა შეესწავლათ 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების ისტორია.

ლავრენტი ბერიამ კარგად იცოდა ბელადის ხასიათი, მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ქვეყანა ყოფნა-არყოფნის გარდაუვალი საფრთხის წინაშე იდგა, ვერ აეხსნა სტალინის ეს სურვილი. უკვირდა, რისტვის სჭირდებოდა სტალინს საუკუნეზე მეტი ხნის წინ საქართველოში მომხდარი ეს ისტორიული მოვლენა და ამას სასულიერო სემინარიის სტუდენტის მორიგ ახირებად მიიჩნევდა. მით უმეტეს, რომ ამ ამბავს წინ უსწრებდა მისივე ბრძანებით ყაზანის ღვთისმშობლის ხატით მოსკოვის ფრონტის ხაზის შემოვლა სასულიერო პირების მიერ.

ბერიას მოადგილეს, გოგლიძეს, უშუალოდ დაევალა სტალინის ამ დავალების შესრულება. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ნიჭიერ და ერუდირებულ მეცნიერ-თანამშრომელს, ნ. ბ. მახარაძეს, დაევალა მოკლე დროში შეექმნა ეს ნაშრომი. ამისთვის მას საშუალება ეძლეოდა

შეუფერხებლად ესარგებლა ყველა არქივით თუ საცავით, მათ შორის, ალყაში მყოფ ლენინგრადშიც კი.

რუსულ არქივებში დაცული ისტორიოგრაფიული მასალები ამ აჯანყებას იცნობდა როგორც 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყებას, („ცერკოვნი ბუნტ“), მაგრამ ბელადის სურვილი იყო, ამ აჯანყებას „1819-1820 წლების იმერეთის აჯანყება“ დარქმეოდა. დათქმულ ვადაში რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომი ბერიამ გოგლიძის თანხლებით სტალინს წარუდგინა. სტალინმა ნაშრომი გადაფურცლა და გოგლიძეს მიმართა ქართულად: „თქვენ რაჭიდან ხართ, მე რაჭველების სიძე ვიყავი. იქ ხშირად მიხდებოდა ყოფნა და კარგად ვიცნობ ბევრ მათ ზნე-ჩვეულებას. აბა მითხარით, რატომ იტყვიან რაჭაში, როცა კაცი მაგიდას მიუჯდება, რა ფუტიეთელივით შორსა ზიხარო.“ გოგლიძეს ამაზე უპასუხია: „ეს კი გამიგონია, მაგრამ ამის მიზეზი ნამდვილად არ ვიციო.“ მაშინ სასულიერო სემინარიის ყოფილ სტუდენტს თვითონ აუხსნია მათთვის: „ძველად საქართველოში არსებობდა საეკლესიო სიწმინდეებისა და ქონების დამცველი და გადამნახველი რაინდთა ჯარი, რომელთა უმთავრეს მოვალეობას მტრის შემოსევების დროს საეკლესიო ქონების და საეკლესიო-სამონასტრო პერსონალის უსაფრთხო ადგილებში ევაკუაცია შეადგენდა. ესენი ძირითადად დასავლეთ საქართველოს მთიანეთს, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მკვიდრნი იყვნენ და ფუსტელები ეწოდებოდათ. სვანურ ყოფაში ეს ტრადიცია დღემდე ცოცხლობს. ამ ტრადიციის ერთ-ერთი მთავარი ფორპოსტი წარსულში რაჭაში სოფელი ფუტიეთი იყო. ფუსტელთა საბრძოლო განაწესი მოითხოვდა მუდამყამ მეომრულ მზადყოფნას. აი, სწორედ ამიტომ შემორჩათ სოფ. ფუტიეთის მკვიდრთ ეს ზნე-ჩვეულება“.

შემდგომში გოგლიძეს იგივე კითხვა დაუსვამს სოფ. ფუტიეთის მკვიდრის ლავრენტი სვანისათვის, რომელიც წიგნის პალატის ნარკომატში მუშაობდა და გოგლიძის ნათესავი იყო. რა თქმა უნდა, ლავრენტი სვანსაც ფუტიეთელების ამ ზნე-ჩვეულებაზე ვერაფერი უთქვამს. მაშინ უამბნია გოგლიძეს სტალინის მიერ მისთვის მოთხოვნილი ისტორია ფუტიეთელების ამ ზნე-ჩვეულების შესახებ.

თავისი მახასიათებლებით, ფუნქციით და არსით ფუსტის რაინდთა (ღვთის ღმერთთა) ეს გამძლე და სიცოცხლისუნარიანი უძველესი მანქანა ზუსტად იქნა კოპირებული და გამოყენებული დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა საეკავაციო სისტემის მიერ. სწორედ ამ უძველესი სისტემის ანალოგიით საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან უმსხვილეს სამრეწველო კომპლექსებს პერსონალთან ერთად ხიზნავდნენ ურალს გადაღმა ციმბირში, რამაც გადმწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა არმიის ძღვევამოსილ გამარჯვებაში. როგორც ირკვევა, სტალინმა კარგად იცოდა ფუსტობის სვანური ტრადიციის ისტორიული ფუნქციის მისი მოქმედების მექანიზმისა და ტრაგიკული დასასრულის შესახებ, დაწვრილებით ფლობდა ინფორმაციას 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების დეტალებზეც, მაგრამ ამ ინფორმაციის გამჟღავნება საზოგადოების წინაშე დაუშვებლად მიაჩნდა საბჭოთა-რუსული იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რომ ეს ნაშრომიც, 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყებისა და ფუსტობის ისტორიაც ყოველთვის მკაცრად ტაბუდადებული იყო. არავინ იცოდა ისიც, თუ რატომ არ ამჟღავნებდნენ ამ გმირული და ორასწლოვანი ეროვნულ-გამანათავისუფლებელ მოძრაობაში სწორუბოვარი მასშტაბის აჯანყების გამომწვევ ნამდვილ მიზეზებს. ტაბუ ედო ამ დიდი ისტორიული მოვლენის წარმართველ ფუსტის ძველისძველ ქართულ სამხედრო-საეკლესიო ტრადიციასაც. გასაიდუმლოებული იყო საზანოს და ფუსტის ტრაგიკული და გმირული ბრძოლების ამბავი. არავინ იცოდა ისიც, თუ რატომ და რა გზით ხვდებოდა სვანეთში აურაცხელი საეკლესიო სიწმინდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და ქვეყნის გარეთ მდებარე ეკლესია მონასტრებიდან. მათ შორის გაუგებარი იყო, თუ როგორ მოხვდა სვანეთში ხელნაწერები ბულგარეთში მდებარე პეტრიწონის ქართული მონასტრიდან.

დღეს უკვე დადგა დრო ორასწლოვანი უმკაცრეს ტაბუდადებულ ფუსტობის ტრადიციასა და ფუტიეთის და ზემო საზანოს ტრაგიკულ ბრძოლებს დღის შუქი მოეფინოს, დროა ჩვენმა ხალხმა, მართლმორწმუნე ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერების მქონე მრევლმა და ხელისუფლებამაც, მონდობით იღვაწოს ამ ტრაგიკული ისტორიის დღის სინათლეზე გამოსატანად.

სვანური ქრისტიანული ფენომენი, მისი როლი ეროვნული მართლ- მადიდებლური ცნობიერების გადარჩენაში

ქართველი ერის ორასწლოვანი, სულიერი გენოციდის აღმოფხვრის საქმეში, სვანური ქრისტიანული ფენომენის და 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების გმირთა ღვაწლი შეუფასებელია. დღეს არნახულად უჭირს ქართველ ხალხს. ამის უმთავრესი მიზეზი კი სულიერი ღირებულებების დაკარგვაა. ქართულმა მართლმადიდებელმა ისტორიულმა ყოფამ შექმნა ერის უაღრესად ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი სხეული, რომელიც 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების მარცხთან ერთად დასამარდა.



სურ.35. აჯანყებულებს კაზაკთა რეგულარული
ნაწილები დაუპირისპირდნენ.

ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერების უკანასკნელ და მტკიცე ბასტიონს – სვანეთს ამ მხრივ წამყვანი ფუნქცია აკისრია დღეს. სვანეთი თავისი მყარად ჩამოყალიბებული ქართველი ხალხის სულიერი საგანძურის დაცვისა და გადარჩენის ისტორიული ფუნქციით,

ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი მოვალეობისა. ის, რაც სვანურია, ზოგადქართულია, ჩვენი ეროვნული საკუთრებაა.

სვანეთის როლი და ფუნქცია, როგორც ჩანს, კარგად იცოდა იმ ძალამ, რომელმაც ქართველი ერის სულიერ გენოციდს დაულო საფუძველი. ამიტომ მთელი ძალისხმევა მიმართულია იქით, რომ არ მოხდეს სვანური ქრისტიანული ფენომენის გავრცელება ქართულ სივრცეში, რადგან ეს გამოიწვევს საქართველოს სულიერ აღორძინებას და მის მკვდრეთით აღდგომას. სვანეთის დაქუცმაცება ადმინისტრაციულად თუ სულიერად, მისი ისტორიული მახასიათებლების ყალბად წარმოდგენა, ემსახურება იმას, რომ ქართველმა ხალხმა მოცემულ ეტაპზე ვერ მიაგნოს თვითგადარჩენის სწორ გზას.

თუ ჩვენს ისტორიას გადავხედავთ, ძნელბედობის ჟამს საქართველოს რომელიმე მხარე იღებდა ავანგარდის ფუნქციას. ასე მაგალითად, შაჰ-აბასის შემოსევების დროს ავანგარდულ პოზიციაში ჩადგა კახეთი, არაბთა შემოსევების დროს – იმერეთი, მონღოლთა ბატონობის დროს – ცოტნე დადიანი და სამეგრელო, რაღაც ეტაპზე ტაო-კლარჯეთი და სხვა. დღეს კი, როცა ჩვენი ყოფნა-არყოფნის დღე დადგა, უმთავრესია სულიერი ეროვნული ფასეულებების აღდგენა. აქ კი სვანეთმა უნდა იკისროს ავანგარდის როლი. „... და ნუ გეშინიათ მისი, ვინც ზორციტ კლავს, გეშინოდეთ მისი, ვინც სულით კლავს,“ – გვასწავლის წმინდა წერილი. სვანეთის როლი ქართული მართმადიდებლური ეკლესიის ცხოვრებაში სწორუპოვარია. სვანები ქრისტიანობას გაეცნენ I საუკუნეში. იგი ღრმად შეითვისეს და დღემდე მოიტანეს ყველა იმ ნიშან-თვისებით, რაც ეროვნულ მართმადიდებლურ ყოფას ახასიათებს. მას სხვა მაღალმთიანი კუთხეების მსგავსად მტრული ბრძოლა არ გამოუცხადებია ქრისტიანობასთან, პირიქით, იგი ღრმად და შემოქმედებითად შეისისხლხორცა, განავითარა ყველა იმ ნიშნით, რაც ზოგადქართულ მართმადიდებლურ ყოფას ახასიათებდა. ბოლშევიკების ბატონობის პირობებშიც კი სვანური ეკლესიები ხელშეუხებელი და

შეურყენელი დარჩა, დიდი საეკლესიო ლოცვა-ზიარებები ხალხის მიერ უკვე მღვდლების გარეშე აღესრულებოდა. სვანეთის სულიერი ცხოვრებისათვის ნიშანდობლივია ის, რომ მას არ გაუწყვეტია უძველესი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციის აკვნად ცნობილ კულტურებთან მემკვიდრეობითი კავშირი. აქ ქრისტეს მოძღვრებას სისხლხორცეულად შერწყა ამ უძველესი ცივილიზაციების ჭეშმარიტებებიც. ნოეს ეპოქის არქეოლოგიური ექსპონატები ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამან განაპირობა, რომ ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის შემოსვლისთანავე I საუკუნეში სვანეთის დიდი ნაწილი მოექცა ქრისტიანობაზე და ქრისტიანული ფუნქცია მიიღო ყოველივემ, რაც ქრისტიანული თეოლოგიის შესაბამისობაში მოვიდა. ამით სვანეთმა შეინარჩუნა არა მარტო უძველესი მატერიალური, არამედ სულიერი მემკვიდრეობითობა და უმაღლესი რანგის სარწმუნოების, მართლმადიდებლური ქრისტიანობის ხარისხში აიყვანა იგი. ამიტომაც დაფუძნდა აქ მზის უძველეს სალოცავებზე ფუ(ს)ტზე, ქრისტიანობის უმთავრესი დოგმატის სამების ანუ ფუ(ს)ტის სალოცავები.

მტერი გვიტევს დახვეწილი მეთოდებით, „ყალბი მართმადიდებლობის“ ნიღაბს ამოფარებული, როგორც ეს ბატონმა პრეზიდენტმა გამოააშკარავა. 2009 წლის 20 ივნისს პარლამენტში გამოსვლის დროს. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ერის არაკეთილმოსურნეთა წყალობით, სვანეთის ქრისტიანული ფენომენის შესახებ ჩვენმა საზოგადოებამ არაფერი იცის. სვანეთი სარწმუნოების თვალსაზრისით ყოველთვის გაიგივებული იყო სხვა მაღალ მთიანეთის კუთხეებთან, როგორც ქრისტიანობის მტერი და წარმართობის მოტრფიალე. სვანეთი ხელოვნურად არის იზოლირებული მტკიცე გამყოფი კედლით საერთო ქართულ ქრისტიანულ სივრციდან. სვანეთიდან მცირე ინფორმაციაც თუ გამოაღწევდა, მოხდებოდა ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერების აღდგენა და საქართველოს სულიერი გაცოცხლება, ეს

კარგად უწყობდნენ სულიერი გეოციდის ავტორებმა, ვისაც ჩვენი დამონება, დაბეჩავება ჰქონდა ჩაფიქრებული.

ნიშნდობლივია, რომ ძალიან ცოტაა სვანური წარმომავლობის მღვდელმსახური, არადა სვანეთში დღემდე ხელუხლებლად არის დაცული და შემონახული ბევრი ტაძარი, რომელიც ელოდება ღირსეულ მღვდელსა და წირვა-ლოცვას. სვანეთი, რომელმაც უნიკალური ფრესკები, ხატები, ოთხთავი, საგალობლები, ფერხული და მრავალი სარწმუნოებრივი საუნჯე შემოინახა, თითქმის უპატრონოდ არის მიტოვებული. არადა თუ სულიერებას ვეძებთ, ის ჯერ კიდევ უხვად არის დაცული და შემონახული. თუ ქართველ მართლმადიდებელ საზოგადოებას სურს თავი დააღწიოს ორასწლოვან სულიერ გენოციდს, მან სწორად უნდა გააცნობიეროს სვანეთის ქრისტიანული ფენომენი ქართულ მართლმადიდებლური ცხოვრების ისტორიაში. საკითხავია, რატომ მოხვდა სვანეთში ამდენი სიწმინდე? რატომ ებრძვიან ფუსტობის ტრადიციას, „პუსტა-პუსტები“? რატომ ადევს ტაბუ 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების მოვლენებს და გმირებს? რატომ შემოინახა სვანეთმა ბოლომდე დაურბეველი ტაძრები? რატომ არ არის ქრისტიაობის წინაშე ასეთი დამსახურების მქონე კუთხიდან ქართული ეკლესიის იერარქიაში სვანური ქრისტიანული ფენომენის მატარებელი პიროვნებები? რატომ ცდილობენ სვანეთის ისტორიული ფუნქციის დამალვას? რას ნიშნავდა სასვანო გადასახადი, რომელიც არსებობდა ქრისტიანულ საქართველოში? რატომ ევალებოდათ ფუსტობის მაღლით სვანებს არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთ მდებარე ეკლესია-მონასტრების დაცვა? რატომ დაინტერესდა სტალინი 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების ისტორიით? რა არსით და ფუნქციით შენდებოდა სვანური კოშკები, იყო თუ არა მასში ჩადებული ქრისტიანული მსოფლმხედველობა? რა დანიშნულება ჰქონდა დღემდე მოღწეულ საეკლესიო დროშას ანუ ბავრაცს „ლემს“? ვის და რატომ არ სურს სამზეოზე გამოვიტანოთ ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერება, ანუ სვანური ქრისტიანული ფენომენი? რატომ არ გვინდა

აღსდგეს ეროვნული საღვთისმეტყველო თეოსოფიური ტრადიციული ცოდნა. თუ ჩვენ გვსურს თავი დავაღწიოთ ორასწლოვან სულიერ გენოციდს, სწორედ ამ კითხვებს უნდა გავცეთ პასუხი და ვინელმდვანელთ ამ პასუხებით. „მტრობა ნუ გექნება გულში შენი მოძმისადმი, ამხილე შენი ახლობელი და ცოდვა არ იქნება შენზე“ (ლევიაანი 19-17).

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
ფუსტები	7
ფუსტელთა თეოგოგრაფიული არეალი – კოლხეთის დიდი კავკასიონის მთიანეთი	15
ფუ(ს)ტები უცხოურ წერილობით წყაროებში	22
ფუტიეთი – ფუსტელთა გარნიზონი, რომელიც იცხავდა უძველესი კოლხეთის უძთავრეს საკულტო ცენტრს	30
ბავრაცი – ფუსტის რაინდთა საწინამძღვრო დროშები	34
ფუსტელთა სამხედრო-ორგანიზაციული სისტემის მოშლა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დარღვევის გამო – 1503 წლის იმერთა მეფის ალექსანდრე II „სასისხლო სიგელი“	43
კომეური კულტურა-როგორც ფუ(ს)ტიელთა ტიტულის გამოხატულება	57
ფუსტელთა ხალხური ტრადიციები	65
„ფუსტის რაინდთა ნაკვალევი“ და 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყება	73
ფუსტელ-ტემპლიერთა კავშირები, უძველესი ფესვები ევროპული და ქართული ქრისტიანული სამყაროს ურთიერთობის ისტორიაში	81
რისთვის დასჭირდა სტალინს ფუსტელ რაინდთა უკანასკნელი დიდი საბრძოლო ეპოპეის, 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების ისტორია	85
სვანური ქრისტიანული ფენომენი, მისი როლი ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერების გადარჩენაში	88

მამა ავთანდილ ბიორგოზიანი

ფუსტიკი

© საავტორო უფლება დაცულია - 2010წ.